

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„**ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ**“

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

გიორგი მამრიკიშვილი

„---25---“-----05-----“ 2017 წელი

ეგზ. № 1

დმანისის მუნიციპალიტეტის
2015-2016 წლების საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის
ანგარიში N: 26/36

2017 წელი

სარჩევი

შემაჯამებელი მიმოხილვა.....	4
შესავალი ნაწილი	10
აუდიტის მიზანი	10
აუდიტის მასშტაბი.....	10
აუდიტის ანგარიშის დანიშნულება	10
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	10
აუდიტორის პასუხისმგებლობა	11
აუდიტის ობიექტის აღწერა.....	11
ნაშთის ცვლილება.....	13
ძირითადი ტექსტი	14
1. საბიუჯეტო ხარვეზები.....	14
1.1 პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადება.....	14
1.2 საბიუჯეტო განაცხადების გაგზავნა.....	15
2. ბიუჯეტის შემოსავლები	15
2.1 მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის იჯარით გაცემა	15
2.2 დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირება	20
3. სახელმწიფო შესყიდვები.....	21
3.1 მიმწოდებლების დისკვალიფიკაცია ტექნიკური დოკუმენტაციის გამო	22
3.2 ექსპერტიზის დასკვნები	25
3.3 გზების მშენებლობა	29
3.4 მინისტრადიონის სარემონტო სამუშაოები	32
3.5 „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“	33
3.6 ფაქტობრივი დანახარჯები	37
3.7 შენობა-ნაგებობის შეძენა	38
3.8 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის გვერდის ავლით განხორციელებული შესყიდვა	39
3.9 თოვლისგან გაწმენდის სამუშაოები	39
4. ადმინისტრაციული ხარჯები	40
4.1 შტატგარეშე მოსამსახურეებზე გაწეული ხარჯები.....	40

4.2 საწვავის ხარჯი	41
4.3 საკრებულოს წევრების ხარჯები.....	43
5. ინვენტარიზაცია.....	44
6. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები	45
6.1 მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შპს-ები და ა(ა)იპ-ები	45
6.2 საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა	47
6.3 ქვემო ქართლის რეგიონალური განვითარების სააგენტოს დაფინანსება.....	47
7. დმანისის მუნიციპალიტეტში წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტის შედეგად გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების მდგომარეობა.	48
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	49
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	49

შემაჯამებელი მიმოხილვა

❖ 2015-2016 წლებში დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ იჯარის ფორმით, სულ გაცემულია 69 ობიექტი. მათ შორის, 25 შემთხვევაში გაცემულია აუქციონით, ხოლო 44 შემთხვევაში - პირდაპირი განკარგვით. აუქციონის ფორმით გაცემული მიწების ჯამური საწყისი ფასი იყო 37.0 ათასი ლარი, ხოლო ვაჭრობის შედეგად ჯამურმა საბოლოო ღირებულებამ შეადგინა 119.5 ათასი ლარი, ანუ საწყის ღირებულებასთან შედარებით დაახლოებით 3-ჯერ გაიზარდა. მიუხედავად მიწის ელექტრონული აუქციონის ფორმით გაცემის დადებითი მხარეებისა, მუნიციპალიტეტის მიერ სააუდიტე პერიოდში იჯარით განკარგული ობიექტების რაოდენობის 63%, ანუ 44 ობიექტი, გაცემულია პირდაპირი განკარგვის წესით. (გვ. 15)

❖ სოფელ გომარეთში, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გაცემულია 5 ობიექტი (სულ 43.3 ჰა). აუდიტორის შეფასებით აღნიშნული ობიექტები წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას (სამოვარს) და წლიურ საიჯარო ქირად განსაზღვრულია 1 ჰა-ზე - 7 ლარი. აუდიტის ჯგუფის მიერ ფართების ადგილზე დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ მიწის ნაკვეთები რეალურად წარმოადგენს ტბებს, რომლებსაც მოიჯარეები იყენებენ კომერციული მიზნებისთვის. ამასთანავე, პირდაპირი განკარგვით გაცემულ ორ ტბაზე (ჯამური ფართობი - 18.2 ჰა) მოიჯარეა მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსის ძმა, ხოლო მის მიერ აღებული ტბის მიმდებარე ტერიტორია შემოღობილია გამგეობის ბალანსზე რიცხული ლითონის მიღებით. 2015 წლის 29 მაისს მუნიციპალიტეტის დაკვეთით შედგენილი აუდიტორული დასკვნის მიხედვით, მიღების საბაზრო ღირებულება შეადგენს 47.9 ათას ლარს. (გვ. 17)

❖ 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საიჯარო ქირის სახით მიუღებელმა შემოსავალმა 71.0 ათასი ლარი შეადგინა. მუნიციპალიტეტის მიერ მოიჯარეებზე იჯარის ქირის გადაუხდელობისთვის არ არის დარიცხული ხელშეკრულებით გათვალისწინებული საურავი და არ არის გატარებული სათანადო ღონისძიებები დავალიანების დაფარვის უზრუნველსაყოფად. (გვ.18)

❖ 2010 წელს დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ 25 წლის ვადით იჯარით გაცემულია 4 მიწის ნაკვეთი (ბუნებრივი სამოვარი), საერთო ფართი - 79 318 კვ.მ. ხელშეკრულების მიხედვით, მოიჯარეს მიწის ნაკვეთები უნდა გამოეყენებინა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით, ხოლო მიწით სარგებლობისათვის გადასახადის სახით დაეკისრა მხოლოდ კანონმდებლობით განსაზღვრული ქონების გადასახადის გადახდა, 1 ჰა-ზე წლიურად - 3 ლარი. შედეგად, მუნიციპალიტეტის ქონება გაცემულია უსასყიდლოდ, იჯარის გადასახადის გარეშე. მიწის ნაკვეთების ადგილზე დათვალიერებით გამოვლინდა, რომ მოიჯარე მიღებულ ფართებს იყენებს არადანიშნულებით, კერძოდ, მოპოვებული ბუნებრივი რესურსების გადასამუშავებლად. აღნიშნულის გამო მუნიციპალიტეტმა 2015 წელს მოიჯარე დააჯარიმა 147.5 ათასი ლარით, რომლის გადახდა მოიჯარემ დაიწყო აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში ეტაპობრივად, კერძოდ 2017 წლის 1 მარტიდან. (გვ. 19)

❖ 2015-2016 წლებში დმანისის მუნიციპალიტეტში შესრულებულ საგზაო სამუშაოებზე, მიმწოდებლების მიერ წარმოდგენილია ექსპერტიზის დასკვნები, თუმცა მათი ანალიზით გაირკვა, რომ ექსპერტების მიერ ჩატარებული კვლევები მოიცავს მხოლოდ შესრულებული სამუშაოების მოცულობით ნაწილს. კერძოდ, ხორციელდება ობიექტის ხილული ნაწილის აზომვები და შედარება შესრულებული სამუშაოს აქტების მონაცემებთან. შედეგად, მუნიციპალიტეტს არ გააჩნია ინფორმაცია ასფალტბეტონის საფარის ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ, რამაც შესაძლებელია განაპირობოს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების ექსპლოატაციაში მიღება. (გვ. 25)

❖ 2016 წელს დმანისის მუნიციპალიტეტმა ტენდერის გზით შპს „ლუკრისგან“ შეისყიდა ქუჩების და ეზოების მოასფალტების სამუშაოები. შესრულებული სამუშაოს აქტების (ფორმა №2) მიხედვით, განხორციელდა გზებისა და ეზოების მოწყობა 3 435 კუბ.მ ინერტული მასალების გამოყენებით. აღნიშნული სამუშაოების ღირებულება სულ შეადგენდა 135.0 ათას ლარს, მათ შორის, ინერტული მასალების ღირებულება - 93.5 ათას ლარს. ობიექტების ადგილზე დათვალიერებისას გამოვლინდა, რომ ინერტული მასალების სისქე ნაკლები იყო დოკუმენტებში დაფიქსირებულ 18 სმ-თან შედარებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუდიტის ჯგუფმა ჩაატარა დამატებითი აუდიტორული პროცედურები. კერძოდ, შემსყიდველის მეშვეობით მიმწოდებლისგან, ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების დასადასტურებლად, მოითხოვა ინერტული მასალების შესყიდვისა და ტრანსპორტირების დოკუმენტები. შედეგად, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი, ინერტული მასალების შესყიდვისა და ტრანსპორტირების დოკუმენტების მიხედვით, ქ. დმანისში გზებისა და ეზოების მოსაწყობად შეტანილია მხოლოდ 240 კუბ.მ ინერტული მასალები (სულ 14 სასაქონლო ზედნადები). მიუხედავად ამისა მუნიციპალიტეტს დოკუმენტურად მიღებული და ანაზღაურებული აქვს 3 435 კუბ.მ ინერტული მასალების ღირებულება. (გვ.30)

❖ 2016 წლის 15 ივლისს მუნიციპალიტეტის მიერ შპს „ლუკრთან“ გაფორმებულია ხელშეკრულება, ღირებულებით - 401.0 ათასი ლარი, რომელიც ითვალისწინებდა სოფლებში სასაფლაოებთან მისასვლელი გზების მოასფალტებას. შესრულებული სამუშაოს აქტების (ფორმა №2) მიხედვით, სოფლებში განხორციელებულია ასფალტბეტონის საფუძვლის მოწყობა 2786 კუბ.მ ინერტული მასალის გამოყენებით. აღნიშნული სამუშაოს ღირებულება შეადგენდა 161.7 ათას ლარს, მათ შორის, ინერტული მასალის ღირებულება - 118.5 ათას ლარს. ობიექტის ადგილზე დათვალიერებისას გამოვლინდა, რომ ინერტული მასალების სისქე ნაკლები იყო დოკუმენტებში დაფიქსირებულ 18 სმ-თან შედარებით. დამატებითი აუდიტორული პროცედურების ჩატარებით, კერძოდ, შემსყიდველის მეშვეობით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი, ინერტული მასალების შესყიდვისა და ტრანსპორტირების დოკუმენტების მიხედვით, სოფლებში შეტანილია მხოლოდ 1355 კუბ.მ ინერტული მასალები (სულ 97 სასაქონლო ზედნადები). მიუხედავად იმისა, რომ ვიზუალური დათვალიერების და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, შესრულებული სამუშაოების ფაქტობრივი მოცულობები ნაკლებია ფორმა №2-ში

დაფიქსირებულ მონაცემებთან შედარებით, მუნიციპალიტეტის მიერ შპს „ლუკრისათვის“ თანხები ანაზღაურებულია სრულად. (გვ.31)

❖ 2015 წელს მუნიციპალიტეტმა განახორციელა ქ. დმანისში წმ. ნინოს ქუჩაზე არსებული საფეხბურთო მინისტადიონის სარემონტო სამუშაოები, ღირებულებით - 28.8 ათასი ლარი. სამუშაოების საგარანტიო ვადად განისაზღვრა 2 წელი. აუდიტის ჯგუფის მიერ მინისტადიონის ადგილზე დათვალიერებით გაირკვა, რომ სამუშაოები დაზიანებულია. მიუხედავად ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებისა, მუნიციპალიტეტს საგარანტიო მოთხოვნის შესაძლებლობით არ უსარგებლია. აღნიშნული ხარვეზები მუნიციპალიტეტის მიერ გამოსწორდა მხოლოდ მას შემდეგ რაც აუდიტის ჯგუფის მიერ იქნა გამოვლენილი და დაფიქსირებული ანგარიშის პროექტში. (გვ. 31)

❖ 2015 წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, მიმწოდებელს სოფელ მაშვერაში, შესრულებული სამუშაოს აქტების მიხედვით, მოწყობილი აქვს ბეტონის სანიაღვრე არხი 220 გრძ.მ და კანალიზაციის მილი - 900 გრძ.მ, საერთო ღირებულებით - 22.7 ათასი ლარი. აუდიტის ჯგუფის მიერ დათვალიერების შედეგად ფაქტობრივად აღმოჩნდა, რომ შესრულებულია 151 გრძ. მ ბეტონის სანიაღვრე არხი, ხოლო კანალიზაციის მილი - 876 გრძ.მ-ს შეადგენს. მიუხედავად შეუსრულებელი სამუშაოებისა, მიმწოდებელს თანხა აუნაზღაურდა სრულად. (გვ. 33)

❖ 2016 წელს სოფელ ჩათახში სპორტული ოთახის მოწყობაზე გადახდილია 3.3 ათასი ლარი. შესრულების აქტის მიხედვით, სამუშაოები დამთავრებულია, თუმცა ადგილზე დათვალიერების შედეგად გაირკვა, რომ სამუშაოები დაუსრულებელია. კერძოდ, არ არის დასრულებული კედლის ბლოკით მოწყობისა და მეტალ-პლასტმასის ფანჯრების (2 ცალი) დამონტაჟების სამუშაოები. ამასთანავე, წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, შენობაში მოწყობილია 2 ლითონის კარი, ხოლო დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ შენობას გააჩნია მხოლოდ ერთი ლითონის კარი. აღსანიშნავია, რომ აუდიტის ანგარიშის პროექტში დარღვევის დაფიქსირების შემდეგ მუნიციპალიტეტმა განახორციელა რეაგირება და დაასრულა სამშენებლო სამუშაოები. (გვ. 34)

❖ 2015-2016 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, სოფელ განთიადში მოწყობილია სკვერი. მიღება-ჩაბარების აქტების მიხედვით, სკვერში მოეწყო 2 რკინის ჭიშკარი და დაიდგა 4 ძელსკამი. ადგილზე დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ მოწყობილია მხოლოდ ერთი რკინის ჭიშკარი, ხოლო ძელსკამები არ იყო დადგმული. აღსანიშნავია, რომ აუდიტის ანგარიშის პროექტში ხარვეზის დაფიქსირების შემდეგ 4 ძელსკამი დაიდგა სკვერის ტერიტორიაზე. (გვ. 35)

❖ 2015-2016 წლებში დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების განხორციელების მიზნით, გამარტივებული შესყიდვის ფორმით გაფორმებულია 109 ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით - 712.0 ათასი ლარი. ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ვერ იქნა წარმოდგენილი და არც მუნიციპალიტეტის კანცელარიაშია აღრიცხული აღნიშნული დოკუმენტაციის მიღება. ასევე არც ერთი ხელშეკრულების ფარგლებში არ არის შემცირებული ასანაზღაურებელი თანხის

მოცულობა, გამოყენებულ რესურსზე ფაქტობრივი დანახარჯების გათვალისწინებით. შედეგად, აუდიტის ჯგუფი ვერ გამოთქვამს მოსაზრებას მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული ხარჯებისა და რეალურად შესრულებული სამუშაოების ღირებულებების შესაბამისობაზე. (გვ. 36)

❖ 2015 წლის 29 მაისს დმანისის მუნიციპალიტეტმა სარიტუალო დარბაზის მოსაწყობად, თეიმურაზ თეთრადისგან, რომელსაც უკავია დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსის თანამდებობა, 15.0 ათას ლარად შეიძინა სოფელ ამამლოში მდებარე 64.4 კვ.მ ფართის შენობა-ნაგებობა და მასზე დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. შედეგად, თეიმურაზ თეთრადე შევიდა ქონებრივ გარიგებაში იმ დაწესებულებასთან, სადაც ეკავა თანამდებობა. აღნიშნული ქმედებით, დაირღვა „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები. (გვ. 37)

❖ 2015 წელს დმანისის მუნიციპალიტეტმა სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის მოთხოვნათა გვერდის ავლით, შპს „ხვამლი 777“-თან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე განახორციელა საექსპერტო მომსახურების შესყიდვა, ღირებულებით 11.0 ათასი ლარი. შეძენილი მომსახურება არ იყო ასახული ორგანიზაციის შესყიდვების წლიურ გეგმაში და არც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიეწოდა ანგარიში განხორციელებული შესყიდვის შესახებ. (გვ. 39)

❖ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებზე ხარჯების ანაზღაურების სახით საანგარიშო პერიოდში დახარჯული თანხა სულ შეადგენს 197.1 ათას ლარს. წარმოდგენილი ინფორმაციით, ხარჯის ანაზღაურება ხორციელდებოდა საკრებულოს განკარგულებით, რომლის საფუძველია საკრებულოს წევრების მონაწილეობა განსაზღვრულ საქმიანობაში. საკრებულოს სხდომებსა და მის საქმიანობაში მიღებული მონაწილეობის ამსახველი დოკუმენტაცია არ შეიცავს მონაცემებს კონკრეტულად გაწეული დანახარჯების შესახებ და არ არის საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება ხარჯის დასადასტურებლად. (გვ. 43)

❖ 2015-2016 წლებში დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ შპს „დაუ“-სთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, შეძენილია საკონსულტაციო მომსახურება, ღირებულებით 9.6 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ იმ პირობებში, როდესაც დმანისის მუნიციპალიტეტში საფინანსო სამსახურში დასაქმებულია 7 თანამშრომელი, რომელთა უფლება-მოვალეობაა საბიუჯეტო კანონმდებლობის ცოდნა და პრაქტიკაში განხორციელება, მიზანშეწონილი არ არის ანალოგიურ საკითხებზე კონსულტანტის მომსახურების შესყიდვა და ხარჯის გაწევა. (გვ. 47)

❖ დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ ა(ა)იპ „ქვემო ქართლის რეგიონალურ განვითარების სააგენტოს“ ანგარიშზე 2015-2016 წლებში გადარიცხულია 52.0 ათასი ლარი. მათ შორის, 2015 წელს გადარიცხულია 32.0 ათასი ლარი, ხოლო 2016 წელს - 20.0 ათასი ლარი. დმანისის მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა

აქტივობები განახორციელა ა(ა)იპ „ქვემო ქართლის რეგიონალური განვითარების სააგენტომ“ და შედეგად რა სარგებელი მიიღო თვითმმართველობამ. (გვ. 47)

რეკომენდაციები:

1. მუნიციპალიტეტმა შეიმუშაოს სტრატეგია ფინანსური რესურსების რაციონალური მართვის უზრუნველყოფის მიზნით. ამისათვის საკუთარ ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრები მიმართოს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების განსახორციელებლად ან დაუსრულებელი პროექტების გასაგრძელებლად. ასევე ბიუჯეტი იმგვარად დაგეგმოს, რომ არსებული თავისუფალი ნაშთი დროულად და მაქსიმალურად გამოიყენოს მოსახლეობის სასიკეთოდ.
2. მუნიციპალიტეტის საკრებულომ გამგეობასთან ერთად შეიმუშაოს წესი, რომელიც უზრუნველყოფს: მიწის სარგებლობის უფლებით გაცემის პროცესის გამჭვირვალობას, განკარგვის ფორმასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების ობიექტურობას, დაინტერესებული პირების მაქსიმალურ ინფორმირებულობას და ფასის დადგენას კონკურენტულ გარემოში საბაზრო პრინციპების გათვალისწინებით.
3. მუნიციპალიტეტის გამგეობამ დანერგოს კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სარგებლობის უფლებით გასაცემი ქონების შესაფასებლად ექსპერტის მიერ განხორციელებული საქმიანობის საუკეთესო პრაქტიკასთან და საბაზრო პრინციპებთან შესაბამისობის დადგენას. ასევე, არსებული რესურსების გამოყენებით დროულად გამოავლინოს დავალიანების მქონე მოიჯარეები და შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებების გატარებით უზრუნველყოს საიჯარო დავალიანებების ადმინისტრირების გაუმჯობესება.
4. მუნიციპალიტეტმა გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები და დანერგოს ისეთი მექანიზმები, რომლებიც საშუალებას მისცემს დადგენილი ტარიფების ფარგლებში, დასუფთავების მოსაკრებელი დაგეგმოს როგორც იურიდიულ, ასევე ფიზიკურ პირებთან მიმართებაში და მაქსიმალურად გაზარდოს დასუფთავების მოსაკრებლის სახით მიღებული შემოსავლები.
5. დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, შესყიდვების განხორციელებისას, დანერგოს ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს პრეტენდენტთა შერჩევა-შეფასების პროცესში სამართლიანი გარემოს შექმნას. ამასთანავე, სატენდერო დოკუმენტაციის შედგენისას პრეტენდენტთა მიმართ განისაზღვროს ისეთი მოთხოვნები, რომლებიც საკმარისი იქნება მათი კვალიფიკაციის დასადასტურებლად და ამავე დროს, არ შეაფერხებს/შეზღუდავს პოტენციური მიმწოდებლების ტენდერში მონაწილეობასა და გამარჯვებას.
6. მუნიციპალიტეტმა საგზაო სამუშაოების მიღება განახორციელოს საექსპერტო დასკვნის საფუძველზე, სადაც მითითებული იქნება არა მხოლოდ შესრულებული სამუშაოს მოცულობები, არამედ შესრულებული სამუშაოების ხარისხიც, მათ შორის, საგზაო

სამუშაოებზე გამოყენებული მასალების ლაბორატორიული კვლევის შედეგები. აღნიშნული მუნიციპალიტეტს საშუალებას მისცემს თავიდან აიცილოს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების ექსპლუატაციაში მიღება.

7. დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობამ შეიმუშაოს და დანერგოს ეფექტიანი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც შეამცირებს დაბალი ხარისხით შესრულებული სამუშაოების ექსპლუატაციაში მიღების რისკს. ამასთანავე, გამგეობამ უზრუნველყოს საგარანტიო პერიოდში უხარისხობის მიზეზით გამოწვეული ხარვეზების გამოვლენა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება.
8. შესრულებული სამუშაოს აქტებში დაფიქსირებული მოცულობებისა და რეალურად შესრულებული სამუშაოების შესაბამისობის დადგენის მიზნით, მუნიციპალიტეტმა დანერგოს მონიტორინგისა და კონტროლის მექანიზმები. აღნიშნული მუნიციპალიტეტს საშუალებას მისცემს დროულად გამოავლინოს და თავიდან აიცილოს მიმწოდებლების მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა.
9. მუნიციპალიტეტის გამგეობამ საკრებულოსთან შეთანხმებით, შეიმუშაოს გამარტივებული შესყიდვის ფარგლებში შესრულებული სამშენებლო სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის და ფაქტობრივი დანახარჯების დათვლის მეთოდი/წესი, რომელიც შესაბამისობაში იქნება მოქმედ კანონმდებლობასთან. აღნიშნულით დაიზოგება გამარტივებული შესყიდვისას ასანაზღაურებელი თანხები.
10. მუნიციპალიტეტმა შეიმუშაოს ერთიანი საკადრო პოლიტიკა და საშტატო ნუსხის დამტკიცებისას გაითვალისწინოს საბიუჯეტო წლის განმავლობაში საჭირო კვალიფიკაციისა და რაოდენობის შრომითი რესურსი. ამასთანავე, შტატგარეშე თანამშრომლები საჭიროების შემთხვევაში მიიღოს გარკვეული ვადით, არამუდმივი სამუშაოების შესასრულებლად.
11. მუნიციპალიტეტის საკრებულომ გამგეობასთან ერთად შეიმუშაოს წესი, სამსახურებრივი უფლებამოსილების განსაზღვრის მიზნად საჭირო ავტოპარკის გადანაწილების, სატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაციისა და შესყიდვის შესახებ. აღნიშნული წესი თავსებადი უნდა იყოს კანონმდებლობასთან და საუკეთესო პრაქტიკასთან, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტისათვის საჭირო ოპტიმალური სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობის, მათზე საწვავის გაცემის ლიმიტების, სარემონტო და სხვა მოვლა-შენახვის ხარჯების განსაზღვრას.

შესავალი ნაწილი

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზანია აუდიტის ობიექტის მიერ 2015-2016 წლების განმავლობაში გაწეული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შემოწმება.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტის ანგარიშში, მათი გამოვლენის შემთხვევაში, აისახება შემდეგი საკითხები:

- მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამობა - საქმიანობის წარმართვისას, საჯარო რესურსების გამოყენებისას და ფინანსური ანგარიშგების შედგენისას მოქმედ საკანონმდებლო და სხვა აქტების მოთხოვნების დაუცველობა;
- არამართლზომიერი ხარჯვა - სახსრების ეკონომიურად ხარჯვის ვალდებულებების დაუცველობა;
- ნებისმიერი სხვა საკითხი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საჯარო ფინანსების მართვის გასაუმჯობესებლად ან/და საჯარო სექტორში ერთგვაროვანი პრაქტიკის დასანერგად.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა 2015-2016 წლებში დმანისის მუნიციპალიტეტის საქმიანობისა და ფინანსური რესურსების ხარჯვის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. აუდიტმა მოიცვა მუნიციპალიტეტის 2015-2016 წლების ბიუჯეტების გადასახდელები, ჯამში 15 202.8 ათასი ლარი.

აუდიტის ანგარიშის დანიშნულება

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა, აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც რისკების, შეუსაბამობების ან/და ნაკლოვანების სახით გამოვლენილ იქნა განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია 2015-2016 წლებში განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობითა და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

ხელმძღვანელობის ვალდებულება ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური

საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამოებს.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული ფაქტობრივი გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად, რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას გონივრული რწმუნების მისაღებად იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის მიერ 2015-2016 წლებში განხორციელებული საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს. აუდიტორული პროცედურები ჩატარდა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამოების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია შეცდომით.

აუდიტის ობიექტის აღწერა

დმანისის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც ჰყავს აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოები, აქვს საკუთარი ქონება და ბიუჯეტი. 2016 წლის 1 იანვრის მონაცემებით, მუნიციპალიტეტი აერთიანებს 15 ადმინისტრაციულ ერთეულს და მოიცავს 57 სოფელს. თვითმმართველი ერთეულის ფართობია 1199 კვ.კმ. მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს 19.1 ათას კაცს¹. ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი დმანისი.

მუნიციპალიტეტი საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. კანონმდებლობით მუნიციპალიტეტს გააჩნია საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები. მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს მიეკუთვნება:

- საბიუჯეტო პროცესის განხორციელება;
- მუნიციპალური ქონების შექმნის, სარგებლობისა და განკარგვის საკითხების რეგულირება საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში;
- სივრცით-ტერიტორიული მოწყობა, განაშენიანება და ტერიტორიის კეთილმოწყობა, ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მართვა;

¹ www.reestri.gov.ge; www.geostat.ge; www.budgetmonitor.ge

- მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხებზე წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება;
- იურიდიული პირების დაფუძნება, რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია და სხვ.

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებდა თვითმმართველი ერთეულის მიერ დაფუძნებული 9 ა(ა)იპ და 3 შპს, რომელთა დაფინანსების ძირითადი წყაროა ადგილობრივი ბიუჯეტი.

სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებულია: ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა, საზოგადოებრივი ჯანდაცვის უზრუნველყოფა, ვეტერანთა და დევნილთა დაკრძალვა.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშებზე დაყრდნობით, 2015-2016 წლების შემოსულობებმა 15 193.1 ათასი ლარი, ხოლო გადასახდელებმა 15 202.8 ათასი ლარი შეადგინა.

ცხრილი N1. მუნიციპალიტეტის შემოსულობები და გადასახდელები 2015-2016 წწ. (ათასი ლარი)

დასახელება	2015	2016	სულ
შემოსულობები	8029.7	7163.4	15193.1
შემოსავლები	8009.1	7133.5	15142.6
არაფინანსური აქტივების კლება	20.7	29.9	50.6
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოყენების გარდა)	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	6911.3	8291.5	15202.8
ხარჯები	3254.5	3396.8	6651.3
არაფინანსური აქტივების ზრდა	3650.5	4874.2	8524.7
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის დაგროვების გარდა)	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების კლება	6.3	20.4	26.7
ნაშთის ცვლილება	1118.4	-1128.1	-9.7


2015-2016 წლებში მუნიციპალიტეტის შემოსულობების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულ ტრანსფერები. კერძოდ, 2015 წელს გრანტებმა შემოსულობების 51% , ხოლო 2016 წელს - 62% შეადგინა.

ცხრილი 2. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერები 2015-2016 წწ. (ათასი ლარი)

დასახელება	2015	2016	სულ
გრანტები	4082.1	4457.8	8539.9
გათანაბრებითი ტრანსფერი	1655.3	1914.9	3570.2
მიზნობრივი ტრანსფერი	115	115	230.0
კაპიტალური ტრანსფერი	2311.8	2427.9	4739.7
სპეციალური ტრანსფერი	0.0	0.0	0.0

2015-2016 წლებში გადასახდელების 43,7% ხარჯებს მოიცავს, არაფინანსური აქტივების ზრდა 56,1%-ია, ხოლო ვალდებულებების კლება - 0,2%. აღნიშნულ წლებში მუნიციპალიტეტის ხარჯებში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს სუბსიდიებს - 35%, შრომის ანაზღაურებას - 33%, ხოლო საქონელი და მომსახურებას - 23%.

დიაგრამა N1. დმანისის მუნიციპალიტეტის ხარჯები 2015-2016 წწ.



ნაშთის ცვლილება

2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტი ფლობდა თავისუფალ ნაშთს 487.8 ათასი ლარის ოდენობით, რომლის ხარჯვაც დაიგეგმა 2015 წლის ბიუჯეტით. მიუხედავად ამისა, 2015 წელს ნაშთის ცვლილებით გამოწვეული ფულადი სახსრების დაგროვებამ (მატებამ) შეადგინა 1 118.4 ათასი ლარი და წლის ბოლოს დაფიქსირდა ნაშთი

1 606.2 ათასი ლარი, რომლის ხარჯვაც დაიგეგმა მომდევნო წელს. 2016 წელს ნაშთის ცვლილებით გამოწვეული ფულადი სახსრების კლებამ შეადგინა 1 128.1 ათასი ლარი, ხოლო წლის ბოლოს არსებულმა ნაშთმა - 478.1 ათასი ლარი.

რეკომენდაცია: მუნიციპალიტეტმა შეიმუშაოს სტრატეგია ფინანსური რესურსების რაციონალური მართვის უზრუნველყოფის მიზნით, ამიტომ საკუთარ ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრები მიმართოს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების განსახორციელებლად ან დაუსრულებელი პროექტების გასაგრძელებლად. ასევე ბიუჯეტი იმგვარად დაგეგმოს, რომ არსებული თავისუფალი ნაშთი დროულად და მაქსიმალურად გამოიყენოს მოსახლეობის სასიკეთოდ.

ძირითადი ტექსტი

1. საბიუჯეტო ხარვეზები

1.1 პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადება

კრიტერიუმი: საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტზე მუშაობას თვითმმართველი ერთეული იწყებს პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებით. ამ მიზნით, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ უნდა გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელშიც განსაზღვრულია წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა და ვადები².

გამოვლენილი გარემოება: დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ვერ წარმოადგინა 2015-2016 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მოსამზადებლად გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. კერძოდ, მუნიციპალიტეტმა დოკუმენტურად ვერ დაასაბუთა რა სახის ინფორმაცია და მონაცემები იქნა მოთხოვნილი საბიუჯეტო ორგანიზაციებისგან პრიორიტეტების დოკუმენტის მოსამზადებლად. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, წარმოსადგენი ინფორმაციის ნუსხა და ვადები განისაზღვრება გამგეობის თათბირებზე სიტყვიერი დავალებით. შედეგად, დარღვეულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნები.

² საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი: მუხლი 76, პუნქტები 3-4.

1.2 საბიუჯეტო განაცხადების გაგზავნა

კრიტერიუმი: ბიუჯეტის პროექტის ფორმირებისას, საფინანსო სამსახურმა საბიუჯეტო ორგანიზაციებს უნდა დაუგზავნოს საბიუჯეტო განაცხადები ასიგნებებისა და დასაქმებულთა რიცხოვნობის საორიენტაციო ზღვრული მოცულობების მითითებით³.

გამოვლენილი გარემოება: 2015-2016 წლებში ბიუჯეტის პროექტის მომზადების მიზნით, დმანისის მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანოს საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის არ გაუგზავნია საბიუჯეტო განაცხადის ფორმები ასიგნებებისა და მომუშავეთა რიცხოვნობის საორიენტაციო ზღვრული მოცულობების მითითებით. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, საბიუჯეტო ორგანიზაციებს ინფორმაცია ასიგნებებისა და მომუშავეთა რიცხოვნობის ზღვრული მოცულობების შესახებ მიეწოდება სიტყვიერად.

2. ბიუჯეტის შემოსავლები

ზოგადი მიმოხილვა: დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები შედგება სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერებისა და საკუთარი შემოსავლებისგან. ბიუჯეტის შემოსულობებში ძირითადი წილი უჭირავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულ ტრანსფერებს. დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლების ანალიზის შედეგად გამოვლინდა რამდენიმე გარემოება, რომელთა გათვალისწინებისა და სწორი მართვის შემთხვევაში, შესაძლებელია ადგილობრივ ბიუჯეტში გაიზარდოს მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლები.

2.1 მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის იჯარით გაცემა

კრიტერიუმი 1: მუნიციპალიტეტი შემოსავლების მიღების მიზნით უფლებამოსილია მის საკუთრებაში არსებული ქონება გასცეს აუქციონის ან პირდაპირი განკარგვის ფორმით. სარგებლობის უფლებით ქონების გაცემის შედეგად მიღებული სახსრები წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს. აუქციონის ფორმით მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის მიზანია საკუთრების/სარგებლობის უფლების მინიჭება აუქციონში მონაწილე იმ პირისთვის, რომელიც ვაჭრობის პროცესში მუნიციპალიტეტის ქონების განმკარგავ სუბიექტს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს.⁴

პირდაპირი განკარგვის წესით მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზანია მუნიციპალიტეტის ქონებაზე სარგებლობის უფლება გადაეცეს იმ პირს,

³ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი: მუხლი 77, პუნქტი 3.

⁴ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 119, პუნქტი 3.

რომელიც სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულებს მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი წესით განკარგვისას დადგენილ პირობებს.⁵

კანონმდებლობის მიხედვით, მუნიციპალიტეტის ორგანოები ქონებრივი უფლებების განხორციელებისას ვალდებული არიან, დაიცვან მუნიციპალიტეტის, როგორც მესაკუთრის, კანონიერი ინტერესები.⁶

გამოვლენილი გარემოება: 2015-2016 წლებში მუნიციპალიტეტმა განახორციელა მის ტერიტორიაზე არსებული სასოფლო და არასასოფლო-სამეურნეო მიწების იჯარის ფორმით განკარგვა. სულ გაცემულია 69 ობიექტი, საერთო ფართობით - 71 851 ჰა. მათ შორის, 25 შემთხვევაში მიწა იჯარით გაცემულია აუქციონის ფორმით, ხოლო 44 შემთხვევაში - პირდაპირი განკარგვის წესით.

მუნიციპალიტეტის მიერ სასოფლო და არასასოფლო-სამეურნეო მიწების იჯარით გაცემისას ელექტრონული აუქციონის ფორმის გამოყენება შესაძლებლობას იძლევა ვაჭრობა წარიმართოს და ფასი დაფიქსირდეს საჯაროდ, გამჭვირვალე გარემოში. ელექტრონული აუქციონი ზრდის საზოგადოების ინფორმირებულობასა და აუქციონში შესაძლო მონაწილეთა რაოდენობას. აუქციონის შედეგად გამარჯვებულად ცხადდება ის მონაწილე, რომელიც მუნიციპალიტეტს ყველაზე მაღალ ფასს შეთავაზებს. შესაბამისად, ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით განკარგვა დადებითად აისახება თვითმმართველობის საკუთარი შემოსავლების ზრდაზე. კერძოდ, 2015-2016 წლებში აუქციონის ფორმით გაცემული მიწების ჯამური საწყისი ფასი იყო 37.0 ათასი ლარი, ხოლო ვაჭრობის შედეგად ჯამურმა საბოლოო ღირებულებამ შეადგინა 119.5 ათასი ლარი, ანუ საწყის ღირებულებასთან შედარებით დაახლოებით 3-ჯერ გაიზარდა.

მიუხედავად მიწის ელექტრონული აუქციონის ფორმით გაცემის დადებითი მხარეებისა, მუნიციპალიტეტის მიერ სააუდიტო პერიოდში იჯარით განკარგული ობიექტების რაოდენობის 63%, ანუ 44 ობიექტი, გაცემულია პირდაპირი განკარგვის წესით. შედეგად, აღნიშნული 44 ობიექტის იჯარით გაცემის პროცესში ვერ იქნა უზრუნველყოფილი გამჭვირვალობა, დაინტერესებული პირების ინფორმირებულობა და ფასის დადგენა კონკურენტულ გარემოში. აღნიშნული გარემოება უარყოფითად აისახება მუნიციპალიტეტის შემოსავლებზე.

რეკომენდაცია: მუნიციპალიტეტის საკრებულომ გამგეობასთან ერთად შეიმუშაოს წესი, რომელიც უზრუნველყოფს: მიწის სარგებლობის უფლებით გაცემის პროცესის გამჭვირვალობას, განკარგვის ფორმასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების

⁵ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილება „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“, მუხლი 26, პუნქტი 2.

⁶ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 109, პუნქტი 2.

ობიექტურობას, დაინტერესებული პირების მაქსიმალურ ინფორმირებულობას და ფასის დადგენას კონკურენტულ გარემოში საბაზრო პრინციპების გათვალისწინებით.

კრიტერიუმი 2: მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აუქციონით გადაცემისას, ქირის საწყისი ოდენობა განისაზღვრება გამგეობის წარდგინებით, საკრებულოს მიერ, საპრივატიზებო საფასურის არანაკლებ 5%-ის ოდენობით.⁷

მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვით გადაცემისას, ქირის წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვრება გამგეობის მიერ, საკრებულოსთან შეთანხმებით.⁸

მუნიციპალიტეტის მიერ იჯარით გაცემული ქონება, მოიჯარის მიერ გამოყენებული უნდა იქნეს დანიშნულებისამებრ, ხელშეკრულებით განსაზღვრული საქმიანობის გათვალისწინებით.

კანონმდებლობის მიხედვით, მუნიციპალიტეტის ორგანოები ქონებრივი უფლებების განხორციელებისას ვალდებული არიან, დაიცვან მუნიციპალიტეტის, როგორც მესაკუთრის, კანონიერი ინტერესები⁹.

გამოვლენილი გარემოება: დმანისის მუნიციპალიტეტში მიწის, როგორც პირდაპირი, ასევე აუქციონის წესით განკარგვისას, იჯარის საწყისი საფასურის განსაზღვრის საფუძველს წარმოადგენს კერძო აუდიტორის შეფასება, რაშიც 2015-2016 წლებში გამგეობას გადახდილი აქვს 2.8 ათასი ლარი. საკითხის შესწავლისას გამოვლინდა, რომ აუდიტორის მიერ საფასურის გაანგარიშება ხდება საქართველოს მთავრობის 2011 წლის დადგენილებაზე¹⁰ დაყრდნობით, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწების საწყის საპრივატიზებო საფასურს. იმის გათვალისწინებით, რომ კანონმდებლობით¹¹ ქონების იჯარით გაცემისას, ქირის საფასურის ოდენობა განისაზღვრება, საპრივატიზებო საფასურის არანაკლებ 5%-ით, აუდიტორს საპრივატიზებო ფასიდან გამოჰყავს ფიქსირებული პროცენტი. კერძოდ, დადგენილების მიხედვით, დმანისის მუნიციპალიტეტში, სახელმწიფო

⁷ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილება „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“, მუხლი 36, პუნქტი 1.

⁸ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილება „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“, მუხლი 36, პუნქტი 2.

⁹ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 109, მე-2 პუნქტი.

¹⁰ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 იანვრის №15 დადგენილება: „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებისას საპრივატიზებო შემოსულობისა და იჯარით გაუყვამელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის აუქციონის ფორმით პრივატიზებისას მიწის ნაკვეთის საწყისი საპრივატიზებო თანხის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით დამტკიცების და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის (რომელიც არ ექვემდებარება პრივატიზებას) აუქციონის ფორმით სარგებლობაში გადაცემის წლიური საწყისი სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის თაობაზე“.

¹¹ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილება „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“, მუხლი 36, პუნქტი 1.

საკუთრებაში არსებული 1 ჰა საძოვრის საპრივატიზებო ფასი შეადგენს 135 ლარს, რომელსაც აუდიტორი ამრავლებს 5%-ზე და შედეგად გამოყავს საიჯარო ფასი 6.75 ლარი (უმეტეს შემთხვევაში მრგვალდება 7 ლარამდე).

აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, აუდიტორი მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების საიჯარო საფასურს არ განსაზღვრავს უძრავი ქონების შეფასების საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც ფასი უნდა დადგინდეს საბაზრო ღირებულებაზე დაყრდნობით, „გაშლილი მკლავის“ პრინციპით. არამედ საფასური განსაზღვრულია მარტივი მათემატიკური გაანგარიშების საფუძველზე, მთავრობის დადგენილებების გათვალისწინებით.

გარდა აღნიშნულისა, სარგებლობის უფლებით განკარგული ობიექტებიდან, აუდიტორმა 5 შემთხვევაში საიჯარო ღირებულება სავარაუდოდ განსაზღვრა, ობიექტების ადგილზე დათვალიერებისა და შესწავლის გარეშე. კერძოდ: სოფელ გომარეთში, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გაცემულია 5 ობიექტი (სულ 43,3 ჰა). აუდიტორის შეფასებით აღნიშნული ობიექტები წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას (საძოვარს) და წლიურ საიჯარო ქირად განსაზღვრულია 1 ჰა-ზე - 7 ლარი. აუდიტის ჯგუფის მიერ ფართების ადგილზე დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ მიწის ნაკვეთები რეალურად წარმოადგენს ტბებს, რომლებსაც მოიჯარეები იყენებენ კომერციული მიზნებისთვის. ამასთანავე, პირდაპირი განკარგვით გაცემულ ორ ტბაზე (ჯამური ფართობი 18,2 ჰა) მოიჯარეა მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსის ძმა, ხოლო მის მიერ აღებული ტბის მიმდებარე ტერიტორია, შემოღობილია გამგეობის ბალანსზე რიცხული ლითონის მიღებით¹². 2015 წლის 29 მაისს, მუნიციპალიტეტის დაკვეთით შედგენილი აუდიტორული დასკვნის მიხედვით, მიწების საბაზრო ღირებულება შეადგენს 47.9 ათას ლარს.

სოფელ გომარეთში მდებარე ტბები

¹² დ-300 მმ-იანი 793 მ. და დ-430 მმ-იანი 138 მ.



ასევე აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით გაცემისას, კანონმდებლობის მიხედვით, ქირის წლიური საფასური უნდა განისაზღვროს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ, საკრებულოსთან შეთანხმებით. მიუხედავად ამისა, დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ ქონების პირდაპირი განკარგვის წესით გაცემისას, ქირის საფასური 44 შემთხვევიდან, საკრებულოსთან შეთანხმებულია მხოლოდ 2 ფართზე.

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტს იჯარით გაცემული აქვს 75 ობიექტი ჯამური წლიური საიჯარო ქირით - 123.8 ათასი ლარი. თუმცა ამავე პერიოდისათვის საიჯარო ქირის სახით მიუღებელმა შემოსავალმა 71.0 ათასი ლარი შეადგინა. მუნიციპალიტეტის მიერ მოიჯარებზე იჯარის ქირის გადაუხდელობისთვის არ არის დარიცხული ხელშეკრულებით გათვალისწინებული საურავი და არ არის გატარებული სათანადო ღონისძიებები დავალიანების დაფარვის უზრუნველსაყოფად.

2016 წლის მდგომარეობით შპს „კვარციტი“ განკარგავდა დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 4 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს (ბუნებრივი სამოვარი), საერთო ფართობით - 79 318 კვ. მ, რომელიც 2010 წლის 26 ოქტომბერს, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე გადაეცა 25 წლით.

ხელშეკრულების მიხედვით, მოიჯარეს მიწის ნაკვეთები უნდა გამოეყენებინა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით, ხოლო მიწით სარგებლობისათვის გადასახადის სახით დაეკისრა მხოლოდ კანონმდებლობით განსაზღვრული¹³ ქონების გადასახადის გადახდა, 1 ჰა-ზე წლიურად - 3 ლარი. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ქონება გაცემულია უსასყიდლოდ, იჯარის გადასახადის გარეშე. აღსანიშნავია, რომ 2010 წლის მდგომარეობით მოქმედი კანონმდებლობით, მუნიციპალიტეტის მიერ კერძო სამართლის სუბიექტებზე

¹³ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 27 მარტის 71 დადგენილება „დმანისის მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“.

ქონების უსასყიდლოდ გადაცემა წარმოადგენდა კანონდარღვევას¹⁴, ხოლო მოქმედი კანონმდებლობით დასაშვებია მხოლოდ არა უმეტეს 2 წლის ვადისა¹⁵.

აღნიშნული მიწის ნაკვეთების ადგილზე დათვალიერებით გამოვლინდა, რომ მოიჯარე მიღებულ ფართებს იყენებს არაღანიშნულებისამებრ, კერძოდ, მოპოვებული ბუნებრივი რესურსების გადასამუშავებლად. არსებული პრობლემის შესახებ, მუნიციპალიტეტმა 2015 წლის 5 მაისს¹⁶ აცნობა მოიჯარეს და მოსთხოვა მიყენებული ზიანის ანაზღაურება 147.5 ათასი ლარის ოდენობით¹⁷. ჯარიმის თანხის გადახდა მოიჯარემ დაიწყო აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში ეტაპობრივად, კერძოდ 2017 წლის 1 მარტიდან.

კერძო სუბიექტებზე მუნიციპალიტეტის ქონების უსასყიდლოდ გაცემით გამოწვეული ხარვეზების შესახებ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დაფიქსირებულია დმანისის მუნიციპალიტეტის 2009-2012 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში. მიუხედავად აღნიშნულისა, არსებული პრობლემა კვლავ მოუგვარებელია.

რეკომენდაცია: მუნიციპალიტეტის გამგეობამ დანერგოს კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სარგებლობის უფლებით გასაცემი ქონების შესაფასებლად ექსპერტის მიერ განხორციელებული საქმიანობის საუკეთესო პრაქტიკასთან და საბაზრო პრინციპებთან შესაბამისობის დადგენას. ასევე, არსებული რესურსების გამოყენებით დროულად გამოავლინოს დავალიანების მქონე მოიჯარეები და შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებების გატარებით უზრუნველყოს საიჯარო დავალიანებების ადმინისტრირების გაუმჯობესება.

2.2 დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირება

კრიტერიუმი: „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ადგილობრივი მოსაკრებელი არის აუცილებელი გადასახდელი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში, რომელსაც იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები. ამ კანონით დადგენილი წესით ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღების უფლება აქვს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოს – საკრებულოს.

¹⁴ საქართველოს კანონი „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების“ შესახებ, 19^ე მუხლის მე-6 პუნქტი.

¹⁵ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილება „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“, 22 მუხლის მე-4 პუნქტი.

¹⁶ დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 5 მაისის №07/224 წერილი.

¹⁷ საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ“, მუხლი 11.

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, კანონმდებლობის შესაბამისად, დადგენილებით შემოიღო დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი, როგორც მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის, ასევე იურიდიული პირებისათვის.

გამოვლენილი გარემოება: 2015-2016 წლებში დმანისის მუნიციპალიტეტში დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირებას (ამოღება) ახორციელებდა ა(ა)იპ „დმანისის კომუნალური სამსახური“. დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელები არიან როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირები. მიუხედავად ამისა, დასუფთავების მოსაკრებლის დაგეგმვა და ამოღება ხორციელდება მხოლოდ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული იურიდიული პირებისაგან, ხოლო ფიზიკური პირებისაგან მოსაკრებლის ამოღება არ იგეგმება. დასუფთავების მოსაკრებლის სახით ბიუჯეტში მიღებულმა თანხამ შეადგინა: 2015 წელს - 6.4 ათასი ლარი, რაც მისაღები თანხის 48%-ია, ხოლო 2016 წელს - 3.9 ათასი ლარი, რაც მისაღები თანხის 25%-ს შეადგენს.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული განპირობებულია შესაბამისი ბერკეტებისა და ინფრასტრუქტურის უქონლობის გამო.

რეკომენდაცია: მუნიციპალიტეტმა გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები და დანერგოს ისეთი მექანიზმები, რომლებიც საშუალებას მისცემს დადგენილი ტარიფების ფარგლებში, დასუფთავების მოსაკრებელი დაგეგმოს როგორც იურიდიულ, ასევე ფიზიკურ პირებთან მიმართებაში და მაქსიმალურად გაზარდოს დასუფთავების მოსაკრებლის სახით მიღებული შემოსავლები.

3. სახელმწიფო შესყიდვები

ზოგადი მიმოხილვა: 2015-2016 წლებში დმანისის მუნიციპალიტეტმა ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებებისა და პროექტებისათვის საჭირო სამუშაო, საქონელი და მომსახურება შეისყიდა 297 გამარტივებული შესყიდვის, 69 გამარტივებული ელექტრონული ტენდერის, 32 ელექტრონული ტენდერისა და 14 კონსოლიდირებული ტენდერის მეშვეობით. აღნიშნულ შესყიდვებზე სულ გაფორმდა 412 ხელშეკრულება. სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 8 919.8 ათასი ლარი.

ცხრილი N5. სახელმწიფო შესყიდვები 2015-2016 წწ. (ათასი ლარი)

შესყიდვის საშუალება	2015		2016		ჯამი	
	რაოდენობა	თანხა	რაოდენობა	თანხა	რაოდენობა	თანხა
გამ.შესყიდვა	201	959466,8	96	246740,7	297	1206208
გამ.ელექტრონული შესყიდვა	28	1944777	41	445580	69	2390357
ელ.ტენდერი	10	1365738	22	3908366	32	5274104
კონს.ტენდერი	4	19352,6	10	29729,3	14	49081,9
სულ:	243	4289334,4	169	4630416	412	8919750

სახელმწიფო შესყიდვების პროცესში არსებული ხარვეზები

3.1 მიმწოდებლების დისკვალიფიკაცია ტექნიკური დოკუმენტაციის გამო

კრიტერიუმი: „სახელმწიფო შესყიდვების“ კანონის მიზანია შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომის უზრუნველყოფა. შესაბამისად, ტექნიკური დოკუმენტაციის შეფასებისას სატენდერო კომისიას პრეტენდენტების მიმართ უნდა გააჩნდეს ერთგვაროვანი მიდგომა¹⁸. სატენდერო კომისია არ ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას, თუ მის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეიცავს ისეთ მონაცემს, ან შეიცავს ისეთ უზუსტობებს, რომელთა წარმოდგენა ან დაზუსტება არ გამოიწვევს ტექნიკური დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას და არ გაზრდის წინადადების ფასს.¹⁹

კანონმდებლობის თანახმად, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია ყოველი კონკრეტული შესყიდვისათვის განსაზღვროს მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს შესყიდვის ობიექტი, პრეტენდენტთა ტექნიკური დოკუმენტაცია და საკვალიფიკაციო მონაცემები.²⁰

შესყიდვის ობიექტის პირობები უმჯობესია იყოს თანაბარი, შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტებისათვის, რაც ხელს შეუწყობს ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას, სამართლიანობას და არადისკრიმინაციული მიდგომის უზრუნველყოფას.²¹

გამოვლენილი გარემოება: 2015-2016 წლებში დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებზე, სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით, პრეტენდენტებს მოეთხოვება რეკომენდაციის წარმოდგენა ბოლო სამუშაო ადგილიდან. 2016 წელს, 5

¹⁸ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 2.

¹⁹ „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-12 მუხლის მე-6 პუნქტი.

²⁰ „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-11 მუხლის მე-1 პუნქტი.

²¹ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 2, პუნქტი „ბ“ და „გ“.

შემთხვევაში,²² გამარჯვებულ პრეტენდენტებს მიღებული აქვთ დისკვალიფიკაცია იმის გამო, რომ მათ მიერ წარმოდგენილი რეკომენდაცია არ იყო ბოლო სამუშაო ადგილიდან აღნიშნულიდან გამომდინარე, დმანისის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისია, პრეტენდენტების მიმართ არადისკრიმინაციული და სამართლიანი მიდგომის მიზნით, ვალდებული იყო პრეტენდენტებისათვის მიეცა დოკუმენტაციის დაზუსტების შესაძლებლობა. აღსანიშნავია, რომ დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებზე, სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულია, რომ თუ პრეტენდენტი არ წარმოადგენს ხარჯთაღრიცხვას, ინფორმაციას გამოცდილების შესახებ და რეკომენდაციას ბოლო სამუშაო ადგილიდან, გამოიწვევს დისკვალიფიკაციას დოკუმენტაციის დაზუსტების გარეშე. აღნიშნული მიდგომა ეწინააღმდეგება სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობას, ვინაიდან დისკვალიფიკაცია დაზუსტების გარეშე შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტაციის დაზუსტება ზრდის წინადადების ფასს ან იწვევს სატენდერო დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას. ამასთანავე, რამდენიმე პრეტენდენტს, რომლებსაც არ ჰქონდათ წარდგენილი რეკომენდაცია, სატენდერო კომისიამ მისცა დაზუსტების შესაძლებლობა, ანუ გამოიყენება შერჩევითი მიდგომა. მაგალითად:

- ✓ 2016 წლის 13 მაისს დმანისის მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი, რომელიც ითვალისწინებდა ადგილობრივი ქუჩების, საცხოვრებელ კორპუსებთან მისასვლელი გზების და ეზოების მოასფალტების სამუშაოების შესყიდვას, სავარაუდო ღირებულებით - 951.0 ათასი ლარი. სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით, ტენდერში გამარჯვებისათვის ერთ-ერთ პირობას წარმოადგენდა რეკომენდაციის წარდგენა ბოლო სამუშაო ადგილიდან. აღნიშნული მოთხოვნის გათვალისწინებით, ტენდერში მონაწილე 7 პრეტენდენტიდან ყველაზე დაბალი ფასის წარმომდგენ შპს „ორბიტას“ (710.0 ათასი ლარი) მიენიჭა დისკვალიფიკაცია იმის გამო, რომ წარმოდგენილი რეკომენდაცია არ ჩაეთვალა სარწმუნოდ. იმავე მიზეზით დისკვალიფიკაცია მიენიჭა შემდეგი დაბალი ფასის წარმომდგენ პრეტენდენტს შპს „ტტ-ს“. საბოლოოდ, ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ლუკრი“, ღირებულებით - 725.0 ათასი ლარი. შპს „ორბიტისათვის“ დოკუმენტაციის დაზუსტების შესაძლებლობის მიცემის შემთხვევაში, რაც დაშვებულია მოქმედი კანონმდებლობით, მუნიციპალიტეტი ხელშეკრულებას გააფორმებდა 15.0 ათასი ლარით ნაკლები ღირებულებით.
- ✓ 2016 წლის 14 აპრილს დმანისის მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი, რომელიც ითვალისწინებდა, დმანისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შენობების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვას, სავარაუდო ღირებულებით - 150.4 ათასი ლარი. ტენდერში დაბალი ფასის წარმომდგენ პრეტენდენტს²³ მიეცა დისკვალიფიკაცია იმის გამო, რომ

²² შპს „მიგ ინდუსტრიალი“, შპს „კანადუსი“, შპს „ორბიტა“, შპს „ტტ“, შპს „გზამშენი“.

²³ შპს „მიგ ინდუსტრიალი“.

წარმოდგენილი რეკომენდაცია არ იყო ბოლო სამუშაო ადგილიდან, ხოლო შემდეგი დაბალი ფასის წარმომდგენ პრეტენდენტებს,²⁴ მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ არ გააჩნდათ რეკომენდაცია, მიეცათ დაზუსტების შესაძლებლობა.

დისკვალიფიცირებული პრეტენდენტისათვის წინადადების დაზუსტების შესაძლებლობის მიცემის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი ხელშეკრულებას გააფორმებდა 4.1 ათასი ლარით ნაკლები ღირებულებით.

გარდა აღნიშნულისა, დმანისის მუნიციპალიტეტი ტენდერების გამოცხადებისას ხშირად იყენებს მიმწოდებლის გამოცდილების მოთხოვნას. გამოცდილების მოთხოვნა აუცილებელია, რათა განისაზღვროს თუ რამდენად შეძლებს მიმწოდებელი სამუშაოების დროულად და შესაბამისი ხარისხით შესრულებას. აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამგეობას არ აქვს შემუშავებული ერთიანი მიდგომა. მაგალითად:

- ✓ 2016 წელს სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერზე გაიმარჯვა ი/მ გოჩა ყულიაშვილმა. სატენდერო მოთხოვნების მიხედვით, პრეტენდენტს უნდა წარმოედგინა ბოლო სამი წლის განმავლობაში 50.0 ათასი ლარის ანალოგიური მომსახურების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. პრეტენდენტმა კი წარმოადგინა მხოლოდ მუნიციპალიტეტისათვის საიჯარო ქირის 19.3 ათასი ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. წარმოდგენილი დოკუმენტი სატენდერო კომისიამ ჩათვალა დამაკმაყოფილებლად, არ მოითხოვა დაზუსტება და პრეტენდენტთან გაფორმდა ხელშეკრულება.
- ✓ 2015 წლის 27 ივლისს გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, რომელიც ითვალისწინებდა დმანისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შენობის სარემონტო სამუშაოების შესრულებას, სავარაუდო ღირებულებით - 184.0 ათასი ლარი. სატენდერო დოკუმენტაციით მოითხოვებოდა ბოლო ორი წლის განმავლობაში ანალოგიური სამუშაოების შესრულების დადასტურება, საერთო ღირებულებით - 150.0 ათასი ლარი. ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წარმომდგენმა კომპანიამ, შპს „ფინეზამ“ (160.0 ათასი ლარი) გამოცდილების დასადასტურებლად წარმოადგინა საცხოვრებელი კორპუსების სადარბაზოების სარემონტო სამუშაოების შესრულება. მიუხედავად იმისა, რომ სადარბაზოების რემონტი თავისი არსით და დანაყოფის კოდით წარმოადგენდა შესყიდვის ობიექტის ანალოგიურ სამუშაოს, სატენდერო კომისიამ გამოცდილებაში არ ჩათვალა და მიანიჭა დისკვალიფიკაცია. კომისიის გადაწყვეტილება შპს „ფინეზამ“ გაასაჩივრა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში. შედეგად, შემსყიდველ ორგანიზაციას დაევალი მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვა. 2015 წლის 25 სექტემბერს სატენდერო კომისიამ ძალაში დატოვა მიღებული გადაწყვეტილება იმ მოსაზრებით, რომ პრეტენდენტის

²⁴ ფ/კ „კანო მუშკუდიანი“, და შპს „katharinenfeld“.

მიერ სისტემაში ატვირთული, შესრულებული სამუშაოების ხელშეკრულებებს არ ერთვოდა ხარჯთაღრიცხვები, რის გამოც კომისიამ ვერ შეძლო ემსჯელა, თუ რა სახის სამუშაოები შეასრულა შპს „ფინეზამ“. უნდა აღინიშნოს, რომ სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით, პრეტენდენტებს არ ჰქონდათ ვალდებულება ხელშეკრულებასთან ერთად წარმოედგინათ სამუშაოების ხარჯთაღრიცხვები.

- ✓ 2015 წელს დმანისის მუნიციპალიტეტსა და შპს „გრუსიას“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება №157/ა, რომელიც ითვალისწინებდა მდ. მაშავერაზე ხიდის ვაკისის რეაბილიტაციას, სავარაუდო ღირებულებით - 39.5 ათასი ლარი. სატენდერო დოკუმენტაციით მოითხოვებოდა ბოლო 2 წლის განმავლობაში 30.0 ათასი ლარის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა. მიუხედავად იმისა, რომ მიმწოდებელს არ წარმოუდგენია გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ის მაინც გამოვლინდა გამარჯვებულად. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია არ განხორციელდა იმის გამო, რომ ტენდერში მონაწილეობდა მხოლოდ ერთი პირი. შესაბამისად, მისი დისკვალიფიკაცია გამოიწვევდა ტენდერის ჩაშლას, ხოლო წლის ბოლომდე ვერ ესწრებოდა ახალი ტენდერის ჩატარება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დმანისის მუნიციპალიტეტს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას, სამართლიანი და არადისკრიმინაციული გარემოს შესაქმნელად არ აქვს დანერგილი ერთიანი მიდგომა, რაც ხელს უშლის პრეტენდენტებს შორის ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებას.

რეკომენდაცია: დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობამ შესყიდვების განხორციელებისას დანერგოს ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს პრედენდენტთა შერჩევა-შეფასების პროცესში სამართლიანი გარემოს შექმნას. ამასთანავე, სატენდერო დოკუმენტაციის შედგენისას პრეტენდენტთა მიმართ განისაზღვროს ისეთი მოთხოვნები, რომლებიც საკმარისი იქნება მათი კვალიფიკაციის დასადასტურებლად და ამავე დროს, არ შეაფერხებს/შეზღუდავს პოტენციური მიმწოდებლების ტენდერში მონაწილეობასა და გამარჯვებას.

3.2 ექსპერტიზის დასკვნები

კრიტერიუმი: კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციების შესასრულებლად და მოსახლეობის სხვადასხვა სერვისებით უზრუნველყოფის მიზნით, ადგილობრივი თვითმმართველობები ახორციელებენ სხვადასხვა სახის სამუშაოების შესყიდვებს. ამასთანავე, საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპიდან გამომდინარე ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს ვალდებულებაა შეამოწმოს შესყიდული სამუშაოს ხარისხი და გადახდილ ფასთან შესაბამისობა. მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული სამუშაოების ნაწილი სპეციფიკური ხასიათისაა, მაგალითად, გზების მშენებლობის ხარისხის შემოწმება სპეციალურ ცოდნას მოითხოვს. მუნიციპალიტეტს არ ჰყავს სათანადო საკადრო რესურსი და არ ფლობს შესაბამის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას,

რაც უზრუნველყოფს სპეციფიკური სამუშაოების ხარისხის კონტროლს. აქედან გამომდინარე, იგი სარგებლობს შესაბამისი სფეროს ექსპერტის მომსახურებით. ექსპერტიზისათვის დასმული კითხვები მკაფიოდ უნდა ჩამოყალიბდეს, რათა ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე მუნიციპალიტეტი დარწმუნდეს:

- შესყიდული სამუშაოს მოცულობები და ხარისხი შეესაბამება გადახდილ თანხასა და სახელშეკრულებო პარამეტრებს;
- რამდენად აკმაყოფილებს შესყიდვის ობიექტი მოქმედ სტანდარტებს.

კვალიფიციურად ჩატარებული ექსპერტიზით მუნიციპალიტეტი იცავს მისი, როგორც შემსყიდველის ინტერესს და ამცირებს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების ჩაბარების რისკს.

გამოვლენილი გარემოება: 2015-2016 წლებში დმანისის მუნიციპალიტეტმა შეისყიდა 5 605,8 ათასი ლარის ღირებულების გზის მოწყობის სამუშაოები. მიმწოდებლებთან ანგარიშსწორება ხდებოდა ექსპერტიზის დასკვნების საფუძველზე. თუმცა ექსპერტების მიერ გაცემული დასკვნები ვერ იძლევა სათანადო რწმუნებას შესრულებული სამუშაოების ხარისხისა და სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ, ვინაიდან მათ მიერ ჩატარებული კვლევები მოიცავს მხოლოდ შესრულებული სამუშაოების მოცულობით ნაწილს. კერძოდ, ხორციელდება ობიექტის ხილული ნაწილის აზომვები და შედარება შესრულებული სამუშაოს აქტების მონაცემებთან. აღნიშნულ ხარვეზს იწვევს ის გარემოებაც, რომ მიმწოდებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში არ არის განმარტებული რა სახის ექსპერტიზა უნდა ჩატარდეს შესრულებულ სამუშაოს.

შედეგად, მუნიციპალიტეტი სამუშაოების ღირებულებას ანაზღაურებს მიუხედავად იმისა, რომ არ ფლობს სათანადო ინფორმაციას შესრულებული საგზაო სამუშაოების ხარისხის შესახებ, მათ შორის;

- ასფალტბეტონის საფარის სისქე და ხარისხი;
- ასფალტბეტონის ფორიანობა;
- ბიტუმის შემცველობა;
- დაგებული ინერტული მასალების რაოდენობა და ხარისხი;
- ინერტული მასალებისა და ასფალტბეტონის დატკეპნის კოეფიციენტი;
- მოქმედ სამშენებლო ნორმებთან და სტანდარტებთან შესაბამისობა და სხვ.

არასათანადო ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე სამუშაოების ჩაბარებამ შესაძლებელია განაპირობოს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების ექსპლუატაციაში მიღება და საბიუჯეტო სახსრების არარაციონალური ხარჯვა. აღნიშნული დასტურდება შესრულებული საგზაო სამუშაოების აუდიტის ჯგუფის მიერ ადგილზე დათვალიერებით. მაგალითად: 2015 წლის 28 აპრილს გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც ითვალისწინებდა სოფელ ირგანჩაის გზის მოასფალტებას, სავარაუდო ღირებულებით - 600.0 ათასი ლარი, გამარჯვებულად გამოცხადდა ი/მ „დავით სიჭინავა“, ღირებულებით - 476.5 ათასი ლარი.

შესრულებული სამუშაოების ადგილზე დათვალიერებით გამოვლინდა, რომ გზის საფარი მნიშვნელოვნად დაზიანებულია. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ სატენდერო პირობებით, სამუშაოების საგარანტიო ვადა შეადგენს ობიექტის ჩაბარებიდან 2 წელს. ამ პერიოდის განმავლობაში ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრა ევალება მიმწოდებელს. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტის მიერ საგარანტიო მოთხოვნის შესაძლებლობა აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში არ იყო გამოყენებული.

2015 წელს დაგებული სოფ. ირგანჩაის საავტომობილო გზა



2015 წლის 29 აპრილს დმანისის მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, სოფ. კიზილაჯლოს გზის მოასფალტების სამუშაოების შესასრულებლად. აღნიშნულ ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ჰედეფ ჯორჯია“, ღირებულებით - 600.0 ათასი ლარი. სამუშაოების შესასრულებლად კონტრაქტორმა ხელშეკრულება გააფორმა ქვეკონტრაქტორ შპს „ქროსფონტან“ ღირებულებით - 539.8 ათასი ლარი. თავის მხრივ, შპს „ქროსფონტან“ იმავე სამუშაოებზე ხელშეკრულებები გააფორმა 2 ქვეკონტრაქტორთან, შპს „როუდ ბილდერთან“ და შპს „სექუოიასთან“ (ჯამური ღირებულება - 500.0 ათასი ლარი). შედეგად, კონტრაქტორისა და საბოლოო ქვეკონტრაქტორის ფასებს შორის სხვაობამ შეადგინა - 100.0 ათასი ლარი.

შპს „ჰედეფ ჯორჯიას“ მიერ რეაბილიტირებული გზის ვიზუალური დათვალიერებით გაირკვა, რომ სოფ. კიზილაჯლოს 3.9 კმ-იანი გზის გარკვეული მონაკვეთები დაზიანებულია, კერძოდ, გზის საფარი გაბზარულია და აღენიშნება ჩავარდნები.

2015 წელს მოწყობილი სოფ. კიზილაჯლოს გზა



ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ სატენდერო პირობებით, სამუშაოების საგარანტიო ვადა შეადგენს ობიექტის ჩაბარებიდან 2 წელს. ამ პერიოდის განმავლობაში ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრა ევალება მიმწოდებელს. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტის მიერ საგარანტიო მოთხოვნის შესაძლებლობა აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში არ იყო გამოყენებული.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, აუდიტის ანგარიშის პროექტის გაცნობის შემდეგ, აუდიტის ობიექტმა გვაცნობა, რომ ანგარიშში დაფიქსირებული გზების დაზიანებულ მონაკვეთებზე განახორციელეს ორმული შეკეთება (წარმოადგინეს ფოტომასალა). ამასთან დამატებით განმარტეს, რომ გზების დაზიანება გამოწვეულია სატვირთო ავტომანქანების (მრავალტონიანი) მოძრაობით, რომლებსაც იყენებდნენ არსებული გზის გაგრძელებაზე სამუშაოების მწარმოებელი ფირმები. შესაბამისად, ორმული შეკეთება შესრულდა არა საგარანტიო ვადის საფუძველზე და არა იმ ფირმების მიერ რომლებმაც თავის დროზე განახორციელეს ამ გზების რეაბილიტაცია, არამედ იმ მიმწოდებლების მიერ, რომლებიც სამუშაოებს აწარმოებდნენ 2015-2016 წლებში რეაბილიტირებული გზის მონაკვეთების გაგრძელებაზე.

რეკომენდაცია: მუნიციპალიტეტმა საგზაო სამუშაოების მიღება განახორციელოს საექსპერტო დასკვნის საფუძველზე რომელშიც მითითებული იქნება არა მხოლოდ შესრულებული სამუშაოს მოცულობები, არამედ შესრულებული სამუშაოების ხარისხიც, მათ შორის, საგზაო სამუშაოებზე გამოყენებული მასალების ლაბორატორიული კვლევის შედეგები. აღნიშნული მუნიციპალიტეტს საშუალებას მისცემს თავიდან აიცილოს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების ექსპლუატაციაში მიღება.

3.3 გზების მშენებლობა

კრიტერიუმი: შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებაა განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.²⁵ შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი დაავალოს თანამშრომელს ან თანამშრომელთა ჯგუფს, რომელთა ფუნქციაა მისაწოდებელი ან/და მიწოდებული საქონლის, მომსახურების, სამუშაოს მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.²⁶

გამოვლენილი გარემოება:

2015 წლის 28 ივლისს დმანისის მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გააფორმა შპს „ლუკრთან“, ღირებულებით - 725.0 ათასი ლარი, რომელიც ითვალისწინებდა ქ. დმანისში ადგილობრივი ქუჩების, საცხოვრებელ კორპუსებთან მისასვლელი გზების და ეზოების მოასფალტების სამუშაოების შესყიდვას. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, მიმწოდებელს ქალაქის ქუჩებსა და ეზოებში სხვა თანმდევ სამუშაოებთან ერთად ევალებოდა;

- ✓ შემასწორებელი ფენის მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით, სულ 2103 კუბ.მ, საერთო ღირებულებით - 52.6 ათასი ლარი.
- ✓ საფუძვლის მოწყობა ფრაქციული ღორღით (0.40), სულ 16 650 კვ.მ, საერთო ღირებულებით - 82.4 ათასი ლარი.

2016 წლის 9 სექტემბერს გაფორმებული ფორმა №2-ისა და მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით, მიმწოდებელს დასრულებული ჰქონდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების უმეტესი ნაწილი. კერძოდ, სრულად იყო დასრულებული გზებისა და ეზოების მოხრეშვითი სამუშაოები და ნაწილობრივ ასფალტბეტონის დაგების სამუშაოები. დაუსრულებელი იყო ქ. დმანისში, 9 აპრილის ქ. №27-ის მიმდებარე ეზოს მოასფალტების სამუშაოები.

წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, აღნიშნულ ობიექტზე შესრულებული და ანაზღაურებული იყო შემდეგი სამუშაოები:

- ✓ შემასწორებელი ფენის მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით, სისქით - 10 სმ.
- ✓ საფუძვლის მოწყობა ფრაქციული ღორღით, სისქით 8 სმ.

აუდიტის ჯგუფმა, 2016 წლის 22 სექტემბერს მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან ერთად, განახორციელა ქ. დმანისში, 9 აპრილის ქ. №27-ის მიმდებარე ეზოს სამუშაოების ვიზუალური დათვალიერება. შედეგად გამოვლინდა, რომ მიმწოდებლის მიერ დაგებული

²⁵ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მუხლი 7, პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

²⁶ „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება, მუხლი 22.

ინერტული მასალების სისქე ნაკლები იყო დოკუმენტებში დაფიქსირებულ 18 სმ-თან²⁷ შედარებით.

ქ. დმანისში, 9 აპრილის ქ. №27-ის მიმდებარედ დასრულებული მოხრეშვითი სამუშაოები



შპს „ლუკრის“ მიერ ამავე ხელშეკრულების ფარგლებში სხვა მისამართებზე შესრულებული სამუშაოების ვიზუალური დათვალიერებისას გამოვლინდა მსგავსი ტიპის ხარვეზები. კერძოდ, ინერტული მასალის სისქე ნაკლები იყო დოკუმენტებში დაფიქსირებულ მოცულობებთან შედარებით.

შესრულებული სამუშაოს აქტების (ფორმა №2) მიხედვით, განხორციელდა გზებისა და ეზოების მოწყობა 2 103 კუბ.მ ქვიშა-ხრეშოვანი ნარევისა და 1 332 კუბ.მ (16 650 კვ.მ* 0,08 ≈ 1332) ფრაქციული ღორღის გამოყენებით. აღნიშნული სამუშაოების ღირებულება, სულ შეადგენდა 135.0 ათას ლარს,²⁸ მათ შორის, ინერტული მასალების ღირებულება - 93.5 ათას ლარს.²⁹ იმის გამო, რომ ქ. დმანისში, 9 აპრილის ქ. №27-ს მიმდებარედ, სადაც სამუშაოები არ იყო სრულად შესრულებული, გამოვლინდა სხვაობები, ხოლო დანარჩენ ობიექტებზე დაგებული იყო ასფალტბეტონის საფარი და გამოყენებული ინერტული მასალის მოცულობა ვერ დგინდებოდა, აუდიტის ჯგუფმა ჩაატარა დამატებითი აუდიტორული პროცედურები. კერძოდ, შემსყიდველის მეშვეობით მიმწოდებლისგან, ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების დასადასტურებლად, მოითხოვა ინერტული მასალების შესყიდვისა და ტრანსპორტირების დოკუმენტები. შედეგად, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი, ინერტული მასალების შესყიდვისა და ტრანსპორტირების დოკუმენტების მიხედვით, ქ. დმანისში გზებისა და ეზოების მოსაწყობად შეტანილია მხოლოდ 240 კუბ.მ

²⁷ ქვიშა-ხრეშოვანი ნარევის სისქე - 10 სმ, ფრაქციული ღორღი (0,40მმ) – 8 სმ.

²⁸ ზედნადები ხარჯი 3%, გეგმური მოგება 2% და დღგ 18%-ის გათვალისწინებით.

²⁹ ზედნადები ხარჯი 3%, გეგმური მოგება 2% და დღგ 18%-ის გათვალისწინებით.

ინერტული მასალები, მათ შორის 97 კუბ.მ ქვიშა-ხრეშოვანი ნარევი და 143 კუბ.მ ფრაქციული ღორღი (სულ 14 სასაქონლო ზედნადები). მიუხედავად ამისა მუნიციპალიტეტს დოკუმენტურად მიღებული და ანაზღაურებული აქვს 3 435 კუბ.მ ინერტული მასალების ღირებულება.

2016 წლის 15 ივლისს მუნიციპალიტეტის მიერ შპს „ლუკრთან“ ასევე გაფორმებულია ხელშეკრულება, ღირებულებით - 401.0 ათასი ლარი, რომელიც ითვალისწინებდა სოფლებში სასაფლაოებთან მისასვლელი გზების მოასფალტებას. შესრულებული სამუშაოს აქტების (ფორმა №2) მიხედვით, სოფლებში განხორციელებულია ასფალტბეტონის საფუძვლის მოწყობა 1890 კუბ.მ³ ქვიშა-ხრეშოვანი ნარევისა და 896 კუბ.მ ($11\,200\text{ კვ.მ} \cdot 0,08 \approx 896\text{ კუბ.მ}$) ფრაქციული ღორღის გამოყენებით. აღნიშნული სამუშაოს ღირებულება შეადგენდა - 161.7 ათას ლარს,³⁰ მათ შორის, ინერტული მასალის ღირებულება - 118.5 ათას ლარს. ობიექტის ადგილზე დათვალიერებისას გამოვლინდა, რომ ინერტული მასალების სისქე ნაკლები იყო დოკუმენტებში დაფიქსირებულ 18 სმ-თან³¹ შედარებით.

დმანისის მუნიციპალიტეტის სოფლებში შპს „ლუკრის“ მიერ შესრულებული სამუშაოების



³⁰ ზედნადები ხარჯი 2%, გეგმური მოგება 2% და დღგ18%-ის გათვალისწინებით.

³¹ ქვიშა-ხრეშოვანი ნარევის სისქე - 10 სმ, ფრაქციული ღორღი (0,40მმ) – 8 სმ.

დამატებითი აუდიტორული პროცედურების ჩატარებით, კერძოდ, შემსყიდველის მეშვეობით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი, ინერტული მასალების შესყიდვისა და ტრანსპორტირების დოკუმენტების მიხედვით, სოფლებში შეტანილია მხოლოდ 1355 ინერტული მასალები, მათ შორის 552 კუბ.მ ქვიშა-ხრეშოვანი ნარევი და 803 კუბ.მ ფრაქციული ღორღი (სულ 97 სასაქონლო ზედნადები).

მიუხედავად იმისა, რომ ვიზუალური დათვალიერების და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, შესრულებული სამუშაოების ფაქტობრივი მოცულობები ნაკლებია ფორმა №2-ში დაფიქსირებულ მონაცემებთან შედარებით, მუნიციპალიტეტის მიერ შპს „ლუკრისათვის“ თანხები ანაზღაურებულია სრულად.


3.4 მინისტადიონის სარემონტო სამუშაოები

კრიტერიუმი: 2015 წელს მუნიციპალიტეტის მიერ, მინი სტადიონის სარემონტო სამუშაოების შესასრულებლად, მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების მიხედვით, საგარანტიო ვადა შეადგენს ობიექტის ჩაბარებიდან 2 წელს. მიმწოდებელს ვალდებულება ეკისრება აღნიშნულ პერიოდში ყველა გამოვლენილი ხარვეზი და ნაკლი აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით, ხოლო გამგეობის ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური განვითარების სამსახური ვალდებულია ზედამხედველობა გაუწიოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებასა და შესრულებული სამუშაოს ხარისხს.

გამოვლენილი გარემოება: 2015 წლის 16 სექტემბერს დმანისის მუნიციპალიტეტმა ი/მ „გოჩა ყულიაშვილთან“ გააფორმა ხელშეკრულება №166, რომელიც ითვალისწინებდა ქ. დმანისში წმ. ნინოს ქუჩაზე არსებული საფეხბურთო მინისტადიონის სარემონტო სამუშაოების ჩატარებას, ღირებულებით - 28.7 ათასი ლარი.

2016 წლის 30 სექტემბერს მინისტადიონის ვიზუალური დათვალიერებით გაირკვა, რომ შესრულებული სამუშაოების ნაწილი დაზიანებულია. კერძოდ, შემოღობვის უჯრედების ნაწილი ჩამოვარდნილია, ხოლო ხელოვნური ბალახის საფარი მიერთების ადგილებში დაშორებულია ერთმანეთისაგან. მიუხედავად ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებისა, მუნიციპალიტეტის მიერ საგარანტიო მოთხოვნის შესაძლებლობა აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში არ იყო გამოყენებული. აღნიშნული ხარვეზები მუნიციპალიტეტის მიერ გამოსწორდა მხოლოდ მას შემდეგ რაც აუდიტის ჯგუფის მიერ იქნა გამოვლენილი და დაფიქსირებული ანგარიშის პროექტში.

ქ.დმანისის მინისტადიონი



რეკომენდაცია: დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობამ შეიმუშაოს და დანერგოს ეფექტიანი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც შეამცირებს დაბალი ხარისხით შესრულებული სამუშაოების ექსპლუატაციაში მიღების რისკს. ამასთანავე, გამგეობამ უზრუნველყოს საგარანტიო პერიოდში უხარისხობის მიზეზით გამოწვეული ხარვეზების გამოვლენა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

3.5 „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“

ზოგადი მიმოხილვა: 2015-2016 წლებში საქართველოს მთავრობის განკარგულებით დმანისის მუნიციპალიტეტისათვის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გამოიყო 1259.1 ათასი ლარი.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ძირითადად შესყიდულია გზების რეაბილიტაციის, წყლის სისტემებისა და სანიაღვრე ქსელის მოწესრიგების, სარიტუალო სახლების, მიწის ფართების შემოღობვის და სხვა სამუშაოები. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში შესრულებული სამუშაოები ზოგიერთ შემთხვევაში გარდამავალია და რამდენიმე წლის განმავლობაში ხორციელდება. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წელს, პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი 600.6 ათასი ლარიდან, მუნიციპალიტეტის მიერ აუთისებელია 186.9 ათასი ლარი (31%). პასუხისმგებელი პირის განმარტებით, თანხის აუთისებლობა განაპირობა სამუშაოების შესასრულებლად გამოცხადებულ ტენდერებზე, ვაჭრობის შედეგად მიღებულმა ეკონომიამ, რომლის ათვისება ვერ მოესწრო 2016 წლის განმავლობაში.

ცხრილი 4. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში შესრულებული სამუშაოები

N	„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ განხორციელებული სამუშაოები	2015 წელი		2016 წელი	
		პროექტის რაოდენობა	თანხა	პროექტის რაოდენობა	თანხა
1	სარიტუალო დარბაზების რეაბილიტაცია	25	228,2	24	142,9
2	სპორტული ოთახის მოწყობა	3	27,2	1	3,3
3	წყლის სისტემის რეაბილიტაცია	26	158,5	20	165,5
4	სარიტუალო აღჭურვილობის შეძენა	9	49,6	10	12,2
5	სკვერების კეთილმოწყობა	2	12,8		
6	სასაფლაოს შემოღობვა	4	13,5	3	19,5
7	საპირფარეშოს აშენება	3	4,5	1	2,5
8	ქუჩის განათების მოწყობა	7	30,7	7	24,8
9	მოსაცდელელების მოწყობა	2	8,4	1	1,8
10	გზების რეაბილიტაცია	18	123,7	5	23,1
11	სავარგულების შემოღობვა			1	8,8
12	საბავშვო ბაღების ხარჯთაღრიცხვები				0,6
13	ტერიტორიის კეთილმოწყობა			1	8,8
ჯამი:		99	657,1	74	413,8

კრიტერიუმი: „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში შესყიდული სამუშაო მიმართული უნდა იყოს სოფლის მოსახლეობის უმრავლესობის მატერიალური, ყოფითი და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ. განხორციელებული პროგრამის დადებითი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი უნდა აისახოს სოფლის მოსახლეობაზე.

გამოვლენილი გარემოება: დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“ შესყიდული სამუშაოების შესწავლით გამოვლინდა, შემდეგი ხარვეზები;

- 2015 წელს ი/მ „ალექსი ასლანიშვილს“ სოფელ მაშავერაში შესრულებული სამუშაოს აქტების მიხედვით, მოწყობილი აქვს ბეტონის სანიაღვრე არხი 220 გრძ.მ და კანალიზაციის მილი - 900 გრძ.მ, საერთო ღირებულებით - 22.7 ათასი ლარი.

2016 წლის 29 სექტემბერს, მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელმა პირებმა და მიმწოდებელმა, აუდიტის ჯგუფის დასწრებით, ჩაატარეს შესრულებული სამუშაოების საკონტროლო აზომვები. შედეგად გაირკვა, რომ ფაქტობრივად შესრულებულია:

- ბეტონის სანიაღვრე არხი 151 გრძ. მ, ანუ 69% (69 გრძ. მ-ით ნაკლები)
- კანალიზაციის მილი 876 გრძ.მ, ანუ 97% (24 გრძ. მ-ით ნაკლები)

მიუხედავად შეუსრულებელი სამუშაოებისა, მიმწოდებელს თანხა აუნაზღაურდა სრულად. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ბეტონის სანიაღვრე არხის კედლები არამდგრადია და იმსხვრევა.

სოფელ მაშავერას სანიაღვრე არხი



- 2016 წელს სოფელ ჩათახში სპორტული ოთახის მოწყობაზე გადახდილია 3.3 ათასი ლარი. 2 სექტემბერს გაფორმებული სამუშაოს შესრულების აქტის მიხედვით, სამუშაოები დამთავრებულია, თუმცა ადგილზე დათვალიერების შედეგად გაირკვა, რომ სამუშაოები დაუსრულებელია. კერძოდ, არ არის დასრულებული კედლის ბლოკით მოწყობისა და მეტალოპლასტმასის ფანჯრების (2 ცალი) დამონტაჟების სამუშაოები. ამასთანავე, წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, შენობაში მოწყობილია 2 ლითონის კარი, ხოლო დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ შენობას გააჩნია მხოლოდ ერთი ლითონის კარი.

სოფ. ჩათახის სპორტული ოთახი



აღსანიშნავია, რომ აუდიტის ანგარიშის პროექტში დარღვევის დაფიქსირების შემდეგ მუნიციპალიტეტმა განახორციელა რეაგირება და დაასრულა სამშენებლო სამუშაოები.

- 2015-2016 წლებში სოფ. განთიადში მოწყობილია სკვერი. მიღება-ჩაბარების აქტების მიხედვით, სკვერში მოეწყო 2 რკინის ჭიშკარი და დაიდგა 4 ძელსკამი. ადგილზე დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა რომ მოწყობილია მხოლოდ ერთი რკინის ჭიშკარი, ხოლო ძელსკამები არ დგას. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ერთი ჭიშკრის მოწყობის ღირებულების ხარჯზე შესრულებულია სხვა სამუშაოები.

აღსანიშნავია, რომ აუდიტის ანგარიშის პროექტში ხარვეზის დაფიქსირების შემდეგ 4 ძელსკამი დაიდგა სკვერის ტერიტორიაზე.

გამომდინარე აღნიშნულიდან, მუნიციპალიტეტის მიერ სამუშაოს შემსრულებლებთან გაფორმებული ფორმა №2-ები და მიღება-ჩაბარების აქტები არ ასახავდა რეალურ სურათს. კერძოდ სამუშაოები არ იყო დასრულებული. მიუხედავად ამისა, მიმწოდებლებს თანხები აუნაზღაურეს სრულად.

აღსანიშნავია, რომ შეუსრულებელი სამუშაოების მიღება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ მუნიციპალიტეტში არ არის შემუშავებული და დანერგილი ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს მსგავსი ტიპის დარღვევა-ნაკლოვანებების გამოვლენასა და თავიდან აცილებას.

რეკომენდაცია: შესრულებული სამუშაოს აქტებში დაფიქსირებული მოცულობებისა და რეალურად შესრულებული სამუშაოების შესაბამისობის დადგენის მიზნით, მუნიციპალიტეტმა დანერგოს მონიტორინგისა და კონტროლის მექანიზმები. აღნიშნული

მუნიციპალიტეტს საშუალებას მისცემს დროულად გამოავლინოს და თავიდან აიცილოს მიმწოდებლების მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა.

3.6 ფაქტობრივი დანახარჯები

კრიტერიუმი: საქართველოს მთავრობის დადგენილების³² შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის გზით შეძენილი სამშენებლო სამუშაოების ღირებულება მიმწოდებელს უნდა აუნაზღაურდეს მის მიერ გაწეული ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით.

საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად, სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის დროს:

- მომწოდებელთან ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე.
- სამუშაოების შესრულებისას იჯარით აყვანილ მანქანა-მექანიზმების საიჯარო ხარჯს არ უნდა დაერიცხოს გეგმური დაგროვებისა და ზედნადები ხარჯები.
- ქვეკონტრაქტორის მიერ შესრულებულ სამუშაოებს გეგმური დაგროვებისა და ზედნადები ხარჯები უნდა დაერიცხოს მიმწოდებელსა და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პროცენტის ფარგლებში.

გამოვლენილი გარემოება: 2015-2016 წლებში დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების განხორციელების მიზნით, გამარტივებული შესყიდვის ფორმით დადებულია 109 ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით - 712.0 ათასი ლარი.

გაწეული ხარჯის კანონმდებლობასთან შესაბამისობის დასადგენად აუდიტის ჯგუფმა მოითხოვა ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რაც მუნიციპალიტეტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მიმწოდებლები წარმოადგენდნენ ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტებს, რომელთაც გამგეობაში შემოწმების შემდეგ უბრუნებდნენ მიმწოდებლებს. შესაბამისად, აღნიშნული დოკუმენტაცია მუნიციპალიტეტში არ ინახება.

მიუხედავად პასუხისმგებელი პირის განმარტებისა, აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები მიმწოდებლებთან ანგარიშსწორების კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. კერძოდ, ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ვერ იქნა წარმოდგენილი და არც მუნიციპალიტეტის კანცელარიაშია აღრიცხული აღნიშნული დოკუმენტაციის მიღება. ასევე არც ერთი

³² საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილება.

ხელშეკრულების ფარგლებში არ არის შემცირებული ასანაზღაურებელი თანხის მოცულობა, გამოყენებულ რესურსზე ფაქტობრივი დანახარჯების გათვალისწინებით. შედეგად, აუდიტის ჯგუფი ვერ გამოთქვამს მოსაზრებას მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული ხარჯებისა და რეალურად შესრულებული სამუშაოების ღირებულებების შესაბამისობაზე.

აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობის მიხედვით, ბუღალტრულ ანგარიშებზე ჩანაწერის შეტანის საფუძველს წარმოადგენს პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი, რომელიც ასახავს ეკონომიკური მოვლენის მოხდენის ფაქტს,³³ ხოლო ორგანიზაციის ხელმძღვანელები ვალდებული არიან ბუღალტრული დოკუმენტები შეინახონ ექვსი წლის განმავლობაში.³⁴

არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, ხშირია მიმწოდებლების ფაქტობრივ დანახარჯებსა და გამგეობის მიერ ანაზღაურებულ თანხებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობები, შესაბამისად, საჭიროა, რომ მუნიციპალიტეტმა შეასრულოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები და შეუსაბამოების არსებობის ან დოკუმენტების წარმოუდგენლობის შემთხვევაში, თვითმმართველმა ერთეულმა გაატაროს სათანადო სამართლებრივი ღონისძიებები.

რეკომენდაცია: მუნიციპალიტეტის გამგეობამ, საკრებულოსთან შეთანხმებით, შეიმუშაოს გამარტივებული შესყიდვის ფარგლებში შესრულებული სამშენებლო სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის და ფაქტობრივი დანახარჯების დათვლის მეთოდი/წესი, რომელიც შესაბამისობაში იქნება მოქმედ კანონმდებლობასთან. აღნიშნულით დაიზოგება გამარტივებული შესყიდვისას ასანაზღაურებელი თანხები.

3.7 შენობა-ნაგებობის შეძენა

კრიტერიუმი: „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, თანამდებობის პირს უფლება არა აქვს ქონებრივი გარიგება დადოს იმ სახაზინო დაწესებულებასთან, რომელშიც მას უკავია თანამდებობა.³⁵ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი წარმოადგენს თანამდებობის პირს³⁶.

³³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის № 1321 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 5, პუნქტი 2.

³⁴ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება საქართველოში „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“, მუხლი 9.

³⁵ „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 10, პუნქტი 1.

³⁶ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 52-ე მუხლი.

გამოვლენილი გარემოება: 2015 წლის 29 მაისს დმანისის მუნიციპალიტეტმა სარიტუალო დარბაზის მოსაწყობად, თეიმურაზ თეთრადისგან, რომელსაც უკავია დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსის თანამდებობა, შეიძინა სოფელ ამამლოში მდებარე შენობა-ნაგებობა 64.4 კვ.მ და მასზე დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ღირებულებით - 15.0 ათასი ლარი. შედეგად, თეიმურაზ თეთრადე შევიდა ქონებრივ გარიგებაში იმ დაწესებულებასთან, სადაც ეკავა თანამდებობა. აღნიშნული ქმედებით დაირღვა „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები.

3.8 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის გვერდის ავლით განხორციელებული შესყიდვა

კრიტერიუმი: შემსყიდველი ორგანიზაცია შესყიდვებს ახორციელებს წინასწარ განსაზღვრული შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად. შესყიდვების წლიურ გეგმას შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი წარუდგენს სააგენტოს, რის შემდეგაც შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია დაიწყოს მომდევნო წლისათვის აუცილებელი სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება³⁷.

გამოვლენილი გარემოება: 2015 წლის 7 დეკემბერს დმანისის მუნიციპალიტეტმა სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის მოთხოვნათა გვერდის ავლით შპს „ხვამლი 777“-თან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, განახორციელა საექსპერტო მომსახურების შესყიდვა, ღირებულებით 11.0 ათასი ლარი. შეძენილი მომსახურება არ იყო ასახული ორგანიზაციის შესყიდვების წლიურ გეგმაში და არც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიეწოდა ანგარიში განხორციელებული შესყიდვის შესახებ. შედეგად, მუნიციპალიტეტის მიერ არ არის უზრუნველყოფილი სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობით განსაზღვრული შესყიდვის პროცესის ანგარიშვალდებულება, გამჭვირვალობა და მონეტარული ზღვრების დაცვა.

3.9 თოვლისგან გაწმენდის სამუშაოები

კრიტერიუმი: „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია შეარჩიოს მიმწოდებელი და დადოს მასთან ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

³⁷ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“. მუხლი 9, პუნქტი 1, პუნქტი 4.

ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით, კანონმდებლობით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით³⁸.

გამოვლენილი გარემოება: 2015 წლის 20 აპრილს გამარტივებული შესყიდვის ფორმით, შპს „გზამშენთან“ გაფორმდა ხელშეკრულება №28, რომელიც ითვალისწინებდა დმანისის მუნიციპალიტეტში გზების თოვლისგან გაწმენდას, ღირებულებით - 5.0 ათასი ლარი.

წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტების მიხედვით, მიმწოდებლის მიერ სამუშაოები შესრულებულია 2015 წლის თებერვალში, ანუ შესრულება წინ უსწრებს ხელშეკრულების გაფორმებას 2 თვით. შესრულებული სამუშაოების საერთო ღირებულებამ შეადგინა 2.3 ათასი ლარი.

4. ადმინისტრაციული ხარჯები

4.1 შტატგარეშე მოსამსახურეებზე გაწეული ხარჯები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტს თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად და კანონით გათვალისწინებული ფუნქციების შესასრულებლად ესაჭიროება შესაბამისი რაოდენობისა და კვალიფიკაციის შრომითი რესურსი. თანამშრომლები საჭიროა როგორც მუდმივი, ასევე არამუდმივი სამუშაოების შესასრულებლად.

მუნიციპალიტეტმა საშტატო ნუსხით ყოველწიურად უნდა განსაზღვროს მუდმივი ამოცანების შესასრულებლად საჭირო საჯარო მოხელეების რაოდენობა და თანამდებობები. საშტატო ნუსხის შესაბამისად, მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად სამსახურში უნდა მიიღოს საჯარო მოხელე შტატით გათვალისწინებულ თანამდებობაზე. არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად, მუნიციპალიტეტს შეუძლია გარკვეული ვადით სამსახურში მიიღოს შტატგარეშე მოსამსახურე³⁹.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად⁴⁰, შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშვნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში, არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად.

გამოვლენილი გარემოება: 2015-2016 წლებში დმანისის მუნიციპალიტეტში შტატგარეშე მოსამსახურეებთან გაფორმებულია 24 ხელშეკრულება⁴¹, ხოლო შრომითი გასამრჯელოს სახით გაცემულია 69.1 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის მიერ შტატგარეშე მოსამსახურეებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შესწავლით გამოვლინდა, რომ შტატგარეშე მოსამსახურეები ინიშნებიან

³⁸ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 7, პუნქტი 1, „ა“ ქვეპუნქტი და მუხლი 21, პუნქტი 1¹.

³⁹ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, მუხლი 8.

⁴⁰ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, მუხლი 8.

⁴¹ 2015 წელს - 8 ხელშეკრულება, 2016 წელს - 16 ხელშეკრულება.

როგორც მთელი წლის, ისე 1-6 თვემდე ვადით და შემდეგ უგრძელდებათ ვადა. ხელშეკრულებები უმეტეს შემთხვევაში გაფორმებულია მთელი წლის ვადით, საკრებულოსა და გამგეობის სპეციალისტის უფლება-მოვალეობების შესასრულებლად. შედეგად, მუნიციპალიტეტის მიერ შტატგარეშე მოსამსახურეები დანიშნული არიან ფაქტობრივად მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად.

რეკომენდაცია: მუნიციპალიტეტმა შეიმუშაოს ერთიანი საკადრო პოლიტიკა და საშტატო ნუსხის დამტკიცებისას გაითვალისწინოს საბიუჯეტო წლის განმავლობაში საჭირო კვალიფიკაციისა და რაოდენობის შრომითი რესურსი. ამასთანავე, შტატგარეშე თანამშრომლები მიიღოს საჭიროების შემთხვევაში, გარკვეული ვადით, არამუდმივი სამუშაოების შესასრულებლად.

4.2 საწვავის ხარჯი

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტს ფუნქციონირებისათვის ესაჭიროება საკუთარი ავტოსატრანსპორტო საშუალებები, რომელთა რიცხოვნობა თვითმმართველობებისათვის კანონმდებლობით დარეგულირებული არ არის. საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა დადგენილება⁴², სადაც საბიუჯეტო ორგანიზაციებში განისაზღვრა ავტოსატრანსპორტო საშუალებების ზღვრული ოდენობა, რაც დამოკიდებულია აღნიშნულ ორგანიზაციებში საშტატო რიცხოვნობაზე. მთავრობის დადგენილება თვითმმართველობებისათვის სარეკომენდაციო ხასიათისაა, თუმცა საბიუჯეტო სახსრების რაციონალური და გონივრული ხარჯვიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მისი შესრულება.

არსებული რეკომენდაციით, სამორიგეო ავტომობილის რიცხვი დგინდება შემდეგი პროპორციით: 100 საშტატო რიცხოვნობამდე დაწესებულების შემთხვევაში - 1 ავტომობილი ყოველ 20 საშტატო ერთეულზე, ხოლო ყოველ დანარჩენ 50 საშტატო ერთეულზე, დამატებით 1 ავტომობილი.

დმანისის მუნიციპალიტეტში საწვავის ხარჯვა რეგულირდება გამგეობის მიერ დამტკიცებული ყოველთვიური ლიმიტების შესაბამისად⁴³.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის⁴⁴ მიხედვით მუნიციპალიტეტის ორგანოები და თანამდებობის პირები თავიანთი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოსცემენ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს. სამართლებრივი აქტის სახეებია ნორმატიული აქტი და ინდივიდუალური აქტი. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ მუნიციპალიტეტის საკრებულოს, დადგენილების სახით. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი

⁴² საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“.

⁴³ დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2014 წლის 29 ივლისის №184 ბრძანება.

⁴⁴ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 61, პუნქტი 2 და პუნქტი 3.

აქტის გამოცემა შესაძლებელია მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირების მიერ ბრძანების ან საკრებულოს განკარგულების სახით.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით⁴⁵, ნორმატიული აქტი უნდა შეიცავდეს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს, ხოლო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ერთჯერადი გამოყენების და უნდა შეესაბამებოდეს ნორმატიულ აქტს. დაუშვებელია ნორმატიული შინაარსის სამართლებრივი აქტის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის სახით მიღება (გამოცემა).

გამოვლენილი გარემოება: 2015-2016 წლებში დმანისის მუნიციპალიტეტს გააჩნდა 8 სამსახურებრივი ავტომანქანა. მუნიციპალიტეტის საკრებულოს არ ჰქონდა შემუშავებული შესაბამისი წესი, ავტომანქანების განაწილებისა და ზღვრული ოდენობის შესახებ. რაციონალურობისა და გონივრულობის პრინციპებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტს შეეძლო ემოქმედა საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესით. აღნიშნული წესის მიხედვით, დმანისის მუნიციპალიტეტისათვის საშტატო რიცხოვნობის გათვალისწინებით, რეკომენდებული იყო 5 ავტომანქანა.

დმანისის მუნიციპალიტეტში საწვავის ხარჯვა რეგულირდება მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით⁴⁶, რომლის მიხედვით, საწვავი გაიცემა ყოველთვიურად, წლის განმავლობაში. ამდენად, დმანისის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ გამოცემული ბრძანება ადგენს საწვავის გაცემის მუდმივ და მრავალჯერადი გამოყენების წესს და თავისი შინაარსით წარმოადგენს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

კანონმდებლობით მიხედვით, დაუშვებელია ნორმატიული შინაარსის სამართლებრივი აქტის ინდივიდუალური აქტის სახით მიღება. დმანისის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტი, თავისი შინაარსით არ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და იგი უნდა გამოცემულიყო საკრებულოს მიერ, ნორმატიული აქტის სახით, რომელიც მიიღება კოლეგიურად, საკრებულოს წევრთა ხმათა უმრავლესობით.

2015-2016 წლებში მუნიციპალიტეტის მიერ საავტომობილო საწვავზე გახარჯულია 94,7 ათასი ლარი. საწვავი გაცემულია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 8 ავტომანქანაზე. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ კანონმდებლობის დარღვევით გამოცემული ბრძანებით დადგენილი ლიმიტები, საანგარიშო პერიოდში დარღვეულია 49 შემთხვევაში.

⁴⁵ საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“, მუხლი 2,

⁴⁶ დმანისის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 29 ივლისის №184 ბრძანება.

რეკომენდაცია: მუნიციპალიტეტის საკრებულომ გამგეობასთან ერთად შეიმუშაოს წესი, სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილების, სატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაციისა და შესყიდვის შესახებ. აღნიშნული წესი თავსებადი უნდა იყოს კანონმდებლობასთან და საუკეთესო პრაქტიკასთან, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტისათვის საჭირო ოპტიმალური სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობის, მათზე საწვავის გაცემის ლიმიტების, სარემონტო და სხვა მოვლა-შენახვის ხარჯების განსაზღვრას.

4.3 საკრებულოს წევრების ხარჯები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, თავის უფლებამოსილებას ახორციელებს უსასყიდლოდ. ანაზღაურებადია მხოლოდ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირის საქმიანობა⁴⁷. კანონმდებლობა ითვალისწინებს საკრებულოს არაანაზღაურებად წევრებზე მუნიციპალიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯის ანაზღაურებას. მუნიციპალიტეტი ანაზღაურებს საკრებულოს კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების სხდომებში მონაწილეობისათვის, ასევე საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის დავალებების შესრულებისათვის ყოველთვიურად გაწეულ ხარჯებს. გამგეობის მიერ აღნიშნული ხარჯის ანაზღაურება უნდა განხორციელდეს საკრებულოს წევრის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივად გაწეული ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე.

ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი, სადაც აღინიშნება დოკუმენტის (ფორმის) დასახელება, მისი შედგენის თარიღი, სამეურნეო ოპერაციის შინაარსი, რაოდენობა, ფასი, თანხა, სამეურნეო ოპერაციაში მონაწილე მხარეთა დასახელება, დოკუმენტის სწორად გაფორმებისათვის პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერები და სხვა მონაცემები⁴⁸.

გამოვლენილი გარემოება: მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებზე ხარჯების ანაზღაურების სახით საანგარიშო პერიოდში დახარჯული თანხა, სულ შეადგენს 197.1 ათას ლარს, მათ შორის, 2015 წელს - 97.9 ათას ლარს, 2016 წელს - 99.2 ათას ლარს.

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 დეკემბრის დადგენილებით, საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით მიღებული აქვს ხარჯის ანაზღაურების წესი. დადგენილების მიხედვით, საკრებულოს სხდომებსა და მის ორგანოთა მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, საკრებულოს წევრებს (გარდა თანამდებობის პირებისა) ყოველთვიურად განესაზღვრათ 395 ლარი.

⁴⁷ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 41, პუნქტი 1.

⁴⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერს №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-5 მუხლი.

წარმოდგენილი ინფორმაციით, ხარჯის ანაზღაურება ხორციელდებოდა საკრებულოს განკარგულებით, რომლის საფუძველია საკრებულოს წევრების მონაწილეობა განსაზღვრულ საქმიანობაში. საკრებულოს სხდომებსა და მის საქმიანობაში მიღებული მონაწილეობის ამსახველი დოკუმენტაცია არ შეიცავს მონაცემებს კონკრეტულად გაწეული დანახარჯების შესახებ და არ არის საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება ხარჯის დასადასტურებლად.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ აღნიშნული პრობლემა დაფიქსირებულია დმანისის მუნიციპალიტეტის 2009-2012 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში. მიუხედავად ამისა, არსებული ხარვეზი კვლავ მოუგვარებელია.

5. ინვენტარიზაცია

კრიტერიუმი: კანონმდებლობის თანახმად⁴⁹, საბიუჯეტო ორგანიზაციაში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა, რომელთა ინვენტარიზაცია სავალდებულოა 3 წელიწადში ერთხელ მაინც. ინვენტარიზაცია უნდა დასრულდეს საანგარიშგებო წლის ბოლოს.

ინვენტარიზაციის შედეგების გამოსავლენად ორგანიზაციის ბუღალტერია ადგენს შესაბამის შედარების უწყისებს. შედარების უწყისში აისახება ინვენტარიზაციის შედეგები - სხვაობა საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემებსა და ინვენტარიზაციით დადგენილ ფაქტობრივ ნაშთებს შორის.

გამოვლენილი გარემოება: 2015 წელს დმანისის მუნიციპალიტეტში აქტივებისა და ვალდებულებების სავალდებულო ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტში ფინანსური და არაფინანსური აქტივების დაცულობაზე კონტროლი არ არის სათანადოდ დაწესებული. შედეგად, არსებობს რისკი, რომ შეუმჩნეველი დარჩეს მუნიციპალიტეტის კუთვნილი ქონების დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევები და არ მოხდეს შესაბამისი რეაგირება. გარდა ამისა, არ არის გამოვლენილი გამოუყენებელი აქტივები და არ შემოწმებულა ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული მოთხოვნებისა და ვალდებულებების რეალურობა. არ მომხდარა აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების შედარება ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან.

⁴⁹ „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება.

6. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

6.1 მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შპს-ები და ა(ა)იპ-ები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტს თავისი საქმიანობის კოორდინაციის მიზნით უფლება აქვს დააფუძნოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც ორგანიზებას გაუწევს ერთობლივ ღონისძიებებს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების სფეროში⁵⁰. ამასთანავე, მუნიციპალიტეტს უფლება აქვს საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში დააფუძნოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

გამოვლენილი გარემოება: 2015-2016 წლებში დმანისის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებდა 9 არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი (ა(ა)იპ, რომელთაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან სუბსიდიის სახით მიღებული აქვთ 2 307,7 ათასი ლარი, რაც მთლიანი გადასახდელების 14%-ს შეადგენს. მიღებული სუბსიდიების მეტი წილი (66%) გახარჯულია შრომის ანაზღაურებაზე.

ცხრილი 6. დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ (2014 - 2016 წწ.)

დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ის შესახებ			
	პერიოდი		
	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი
ა(ა)იპ-ის რაოდენობა	9	9	9
გამოყოფილი სუბსიდია (ლარი)	1 029 200	1 071 725	1 235 931
მომუშავეთა რაოდენობა	164	174	177
შრომის ანაზღაურება (ლარი)	835 050	715 880	811 155

სპორტის, განათლების, კულტურისა და მომსახურების სფეროების ა(ა)იპ-ებს სუბსიდიის მისაღებად წლის დასაწყისში მუნიციპალიტეტში წარდგენილი აქვთ მოთხოვნები, სადაც ძირითადად მითითებულია დაწესებულების შენახვის ხარჯები (შრომის ანაზღაურების, საქონელი და მომსახურების ხარჯები), კონკრეტული მიზნებისა და გეგმების გარეშე. უმეტეს შემთხვევაში მუნიციპალიტეტის მიერ სუბსიდია გაცემულია ისე, რომ არ არის გაანგარიშებული კონკრეტულ ღონისძიებაზე რა პერიოდში, რა რაოდენობის თანხა უნდა გაიხარჯოს, ასევე არ არის შედგენილი განსახორციელებელი მომსახურების გეგმა-გრაფიკი და კონტროლი მათ შესრულებაზე. მაგალითად,

⁵⁰ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 20, პუნქტი 1 და 2.

- ა(ა)იპ „დმანისის მუნიციპალიტეტის კომუნალურ სამსახურს“, რომლის საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ქუჩების დაგვა-დასუფთავება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, კეთილმოწყობა, გარე განათება და სხვ., სუბსიდიის სახით 2015-2016 წლებში მიღებული აქვს 463.8 ათასი ლარი. სუბსიდიის მისაღებად „დმანისის მუნიციპალიტეტის კომუნალურ სამსახურს“ გამგეობაში წარდგენილი აქვს დაფინანსების პროგრამა, რომელიც შედგენილია ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის ზოგადი მუხლების საფუძველზე, ჯამური თანხების მითითებით. გამგეობამ დოკუმენტურად ვერ წარმოადგინა ინფორმაცია ა(ა)იპ-ის მიერ დაგეგმილი და განსახორციელებელი კონკრეტული ღონისძიებების შესახებ. არ არის განსაზღვრული დასაგველი ქუჩები, მათი ფართი, ღირებულება, სამუშაოების ჩატარების და ნაგვის გატანის პერიოდულობა. გარე განათების მომსახურებაზე 2016 წელს გათვალისწინებულია 20.0 ათასი ლარის ხარჯი, თუმცა გამგეობაში არ არის წარდგენილი ხარჯის გაანგარიშება. ასევე არ არის განსაზღვრული მომსახურებას დაქვემდებარებული ტერიტორია (ქალაქი, სოფელი), ჩასატარებელი ღონისძიებები, შემოვლის გრაფიკი და ა. შ.

სუბსიდია წარმოადგენს საწარმოებსა და ორგანიზაციებზე მიმდინარე მიზნებისათვის უსასყიდლოდ, დაუბრუნებლად გაცემულ ტრანსფერს. მუნიციპალიტეტს სუბსიდიების გაცემა უნდა მოეხდინა თითოეული ა(ა)იპ-ის მიერ კონკრეტულად გაწერილი ღონისძიებების და მათი აქტივობის გათვალისწინებით.

დმანისის მუნიციპალიტეტი ფლობს 3 შპს-ს (მათ შორის, 2 არ ფუნქციონირებს). მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მყოფ შპს „მშენებელს“ თვითმმართველობის დაკვეთით შესრულებული სამუშაოებიდან და მომსახურებიდან შემოსავლის სახით 2015-2016 წლებში მიღებული აქვს 148.6 ათასი ლარი.

შპს მუნიციპალიტეტში არ წარადგენს წლიურ ანგარიშს, რაზე დაყრდნობითაც მუნიციპალიტეტმა უნდა მოახდინოს მისი წლიური შედეგების განხილვა, ანალიზი და საქმიანობის შეფასება. აღნიშნული ხარვეზი მიუთითებს, რომ მუნიციპალიტეტის მხრიდან არ არის დაწესებული შესაბამისი კონტროლის მექანიზმები. უნდა აღინიშნოს, რომ 2015-2016 წლებში შპს-ის მიერ მუნიციპალიტეტისათვის არ არის წარდგენილი გრძელვადიანი განვითარების ბიზნესგეგმები და წლიური ფინანსური შედეგების საპროგნოზო მაჩვენებლები. მუნიციპალიტეტის მხრიდან ზემოაღნიშნული მიდგომა ხელს ვერ შეუწყობს შპს-ის განვითარებას, ფინანსური შედეგების გაუმჯობესებას და მისაღები დივიდენდების ზრდას.

6.2 საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტში დასაქმებული მოსამსახურე ვალდებულია შეასრულოს თავისი სამსახურებრივი მოვალეობანი, რომლებიც განსაზღვრულია კანონით, თანამდებობრივი ინსტრუქციებით და სხვა სამართლებრივი აქტებით.

მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების მიხედვით, სამსახურის მნიშვნელოვან ფუნქციებსა და უფლებებს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროცესის ორგანიზება, ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების განწერა, ადგილობრივი საგადასახადო საინფორმაციო ბაზის შექმნა, ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის ანალიზი, კონტროლის განხორციელება ბიუჯეტის საკასო შესრულებაზე და სხვ.

გამოვლენილი გარემოება: 2015-2016 წლებში დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ შპს „დაუ“-სთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, შეძენილია საკონსულტაციო მომსახურება, ღირებულებით 9.6 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ იმ პირობებში, როდესაც დმანისის მუნიციპალიტეტში საფინანსო სამსახურში დასაქმებულია 7 თანამშრომელი, რომელთა უფლება-მოვალეობაა საბიუჯეტო კანონმდებლობის ცოდნა და პრაქტიკაში განხორციელება, მიზანშეწონილი არ არის ანალოგიურ საკითხებზე კონსულტანტის მომსახურების შესყიდვა და ხარჯის გაწევა.

6.3 ქვემო ქართლის რეგიონალური განვითარების სააგენტოს დაფინანსება

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტი ვალდებულია ბიუჯეტის შედგენისას და შესაბამისად, ხარჯების დაგეგმვისას, გაითვალისწინოს ის პრიორიტეტები, რომლებიც მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად იქნება მიმართული. შესაბამისად, ადგილობრივი ბიუჯეტიდან პროექტის/პროგრამის დაფინანსების შემთხვევაში, თვითმმართველობამ და ადგილობრივმა მოსახლეობამ უნდა მიიღოს გაწეული ხარჯის შესაბამისი სარგებელი.

გამოვლენილი გარემოება: 2015-2016 წლებში დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ ა(ა)იპ „ქვემო ქართლის რეგიონალურ განვითარების სააგენტოს“ ანგარიშზე გადარიცხულია 52.0 ათასი ლარი. მათ შორის, 2015 წელს სუბსიდიის სახით გადარიცხულია - 32.0 ათასი ლარი, ხოლო 2016 წელს გრანტის სახით - 20.0 ათასი ლარი.

სააგენტოს მიზანია ხელი შეუწყოს ქვემო ქართლის რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას და სამუშაო ადგილების შექმნას, ბიზნესისათვის ხელსაყრელი გარემოს ჩამოყალიბებას, მეწარმეების გაძლიერებისთვის საჭირო ინფორმაციის/სერვისების მიწოდებას და რეგიონში ინვესტიციების მოზიდვას.

დმანისის მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა აქტივობები განახორციელა ა(ა)იპ „ქვემო ქართლის რეგიონალური განვითარების სააგენტომ“

და შედეგად რა სარგებელი მიიღო თვითმმართველობამ. აქედან გამომდინარე, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაწეული 52.0 ათასი ლარის ხარჯის მიზანშეწონილობა არ არის სათანადოდ დასაბუთებული.

7. დმანისის მუნიციპალიტეტში წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტის შედეგად გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების მდგომარეობა.

2013 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარდა დმანისის მუნიციპალიტეტის 2009-2012 წლების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი, რომლის შედეგად გამოვლინდა 19 სახის დარღვევა-ნაკლოვანება.

დმანისის მუნიციპალიტეტის 2015-2016 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის მიმდინარეობისას გაირკვა, რომ ღონისძიებები გატარებულია 10 სახის დარღვევა-ნაკლოვანების გამოსასწორებლად, კერძოდ:

- ✓ სოფელ გომარეთის წყლის სისტემა რეაბილიტირებულია და მოსახლეობას სასმელი წყალი მიეწოდება;
- ✓ მუნიციპალიტეტის თანამშრომლების პრემირების საკითხი დარეგულირებულია და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას;
- ✓ სპორტული ტრენაჟორი გადაეცა მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტულ სკოლას“;
- ✓ მუნიციპალიტეტის ავტომანქანების მომსახურებაზე ხელშეკრულება გაფორმებულია შესაბამისი პროფილით მომსახურე მიმწოდებელთან;
- ✓ მიმწოდებლებზე პირგასამტეხლოების დარიცხვა და ამოღება ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად;
- ✓ საბავშვო ბაღები გადაეცა ა(ა)იპ „დმანისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სამსახურს“;
- ✓ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების სამუშაოებს ახორციელებს ა(ა)იპ „დმანისის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახური“;
- ✓ მომსახურე ბანკიდან მისაღები საპროცენტო შემოსავლები სრულად ირიცხება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში;
- ✓ არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ უსასყიდლოდ გადმოცემული, აღურიცხავი აქტივები საბუღალტრო სამსახურის მიერ აღებულია შემოსავალში;
- ✓ გახარჯული საწვავის ჩამოწერა ხდება საგზურების ბარათის შესაბამისად, გარბენილი კილომეტრაჟისა და საწვავის ოდენობის ჩვენებით.

7 საკითხი მუნიციპალიტეტის მიერ შემდგომი რეაგირებისათვის გადაგზავნილია სამართალდამცავ ორგანოებში:

- ✓ გზის სარემონტო სამუშაოების შესყიდვა;
- ✓ დმანისის მუნიციპალიტეტის სოფლებში გზების მოხრეშვის სამუშაოები;

- ✓ ორმოცწეაროს წყალსადენი ხაზის მოწყობაზე გაწეული ხარჯი;
- ✓ ინერტული მასალის ულიცენზიო მოპოვება;
- ✓ ავტობუსების შეძენაზე არამიზნობრივად გაწეული ხარჯი;
- ✓ მოქალაქეთა მისაღების პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვაზე გაწეული ხარჯი;
- ✓ სახაზინო (საბიუჯეტო) კომპიუტერული პროგრამის შეძენაზე გაწეული ხარჯი.

მუნიციპალიტეტის მიერ სათანადო რეაგირების გარეშე დარჩა და არ გამოსწორებულა აუდიტის ანგარიშში ასახული შემდეგი დარღვევა-ნაკლოვანებები:

- ✓ საკრებულოს დეპუტატების ხარჯების ანაზღაურება;
- ✓ იჯარის ფორმით გაცემული მიწის ნაკვეთების საკითხი.


აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები

წამყვანი აუდიტორი:

ბადრი ჯანჯღავა



ხელმოწერა 25.05.2017 თარიღი

აუდიტორი:

თეა უდესიანი



ხელმოწერა 25.05.2017 თარიღი

აუდიტორი:


ბარამ ონიანი



ხელმოწერა 25.05.2017 თარიღი

აუდიტორი:

ლელა მიქაძე



ხელმოწერა 25.05.2017 თარიღი

აუდიტორი:

პაატა კუბლაშვილი



ხელმოწერა 25.05.2017 თარიღი